5) 4.
603 / 13.281

ლელო

№5
(10965)

თებერვალი. 1996 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია. ● ფასი 40 თეთრი
გამოდის 1936 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

● ანატოლი მილჩენკო — სოხუმიდან „უემბლიზე!“ ● მსოფლიო სპორტული სამყაროს ახალი ამბები ერთ ფოკუსში ● ჯესი ოუენსი რეკორდების მეფე ● ვისაც სარბიელზე ვხედავთ და ქალი გვგონია, შეიძლება თურმე სულაც არ იყოს „სუსტი სქესის“ წარმომადგენელი... ● აგასისა და გონსალესის ნათესაობა, მათ შორის საჩოგბურთოც, 1989 წელს დაირღვა. ● ფიდე და პჩა გაერთიანებას აპირებენ, ყოველშემთხვევაში, სურვილი დიდია ● „რა ვიქნებოდით ჩვენ მიულერის გარეშე?“

● მასოპუსტი — ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ლეგენდა

იოზეფ მასოპუსტი

საგენტო „გუმათი“ იტყობინება

სპორტული ურთიერთობა აღდგება

მრავალმხრივი კავშირები საქართველოსა და რუსეთს შორის ორივე მხარისათვის სასარგებლოდ უნდა აღდგეს, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთობები მოწესრიგდება, დავიწყოთ კულტურითა და სპორტით — ასეთი იყო ამ დღეებში თბილისში გამართული მოსკოვის ოლქისა და საქართველოს წარმომადგენლობითი შეხვედრის დედააზრი. სტუმრებმა ჩვენი ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელებს შესთავაზეს მოამზადონ მომავალი კავშირურთიერთობების დოკუმენტები, რასაც თავიანთ ვარიანტთან ერთად მოსკოვში საპასუხო ვიზიტისას განიხილავენ და ხელსაც მოაწერენ.

ნავარაუდევია, რომ რუსეთის მხარე გაუჭიანურებლად დაეხმარება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ ნაკრებს წლევანდელი თამაშებისათვის სამზადისში. ერთობლივი წვრთნის გარდა, მოეწყობა შეჯიბრებები. გაჩნდა ჩვენი სპორტნაწარმის ფაბრიკის ამუშავების, ზოგიერთი სპორტული ინვენტარით მომარაგების პერსპექტივა.

საგულისხმოა, რომ ორივე მხარემ აღიარა ამ პროცესის დაჩქარების აუცილებლობა, რადგან თუ ურთიერთობათა მემკვიდრეობაში ვაკუუმი შეიქმნა, მერე კონტაქტების აღდგენა უფრო გაძნელდება.

უოლში — სიტყვა და საქმე ერთია!

საქართველოში კარგად იცნობენ ამერიკელ ბიზნესმენს ბობ უოლშს. ახლა იგი კვლავ ეწვია თბილისს და, როგორც ყოველთვის, ხელცარიელი არ ჩამოსულა, ახალი დაპირებებითაც გაგვამხნევა.

— მედიკამენტები და ვიტამინები, რომელიც დაგპირდით, უკვე გამოგზავნილია და მალე მიიღებთ, მზად ვარ ფინანსური წვლილი შევიტანო ატლანტაში თქვენი ოლიმპიური პროგრამის შესრულებაში, — განაცხადა სტუმარმა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას.

უოლშმა ისიც თქვა, რომ იგი მზადაა გაიღოს დაინვალიდებული სპორტსმენის ჯონდო მარიდაშვილის ამერიკაში გამგზავრებისა და მკურნალობის ხარჯები.

ისევ ვასილი დავიდენკოზე და მის თანაგუნდელებზე

ვენეციის ერთ-ერთ ეკლესიაში გაიმართა პროფესიონალ ველოსიპედისტთა გუნდის — „როსლოტოს“ კურთხევა და ოფიციალური წარდგინება, რომელსაც მსოფლიო რეიტინგით საკმაოდ მაღალი, X ადგილი მიეკუთვნა. გუნდის შემადგენლობაში შეყვანილი არიან უმთავრესად იტალიისა და რუსეთის ველოსიპედისტები. აქვეა პირველი თბილისელი პროფესიონალი, „შევარდენის“ სექციაში აღზრდილი და ამჟამად იტალიაში მცხოვრები ვასილი დავიდენკო, რომელიც, როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სახელით გამოვა.

„როსლოტოს“ შემადგენლობაში არიან: მაურიციო ფონდრიესტი, სტეფანო კატაი, ანდრეა კიურატო, ანდრეა ფერიგატო, მარკო ფინკატო, მარიო მანცონი, პაოლო სავოლდელი, დანიელე სიაოლი (ყველა — იტალია), პასკალ ლინო (საფრანგეთი), პიოტრ უგრიუმოვი, იგორ ბონჩუკოვი, ვიაჩესლავ ჯავადიანი, ალექსანდრე გონჩეკოვი, დიმიტრი სედუნი, ალექსეის ივაკოვი და იური სურკოვი (ყველა — რუსეთი). გუნდის გენერალური მენეჯერია მორენო არჟენტინი (იტალია), მწვრთნელები — მასიმო გიროტო, დარიო მარიუცო (ორივე — იტალია) და ნიკოლაი გორელოვი (რუსეთი).

გიორგი ქინქლაძე კიდევ ერთი აღიარება!

ვინ არის 10 საუკეთესო ლეგიონერი, რომლებიც ინგლისის საფეხბურთო კლუბებში თამაშობენ? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ინგლისურმა ჟურნალმა **Football Monthly** ჩაატარა ჟურნალისტთა გამოკითხვა. ათეულში შევიდა (IX ადგილი) ქართველი ლეგიონერი გიორგი ქინქლაძე („მანჩესტერ სიტი“). აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ ქინქლაძეს ხვდა ასეთი აღიარება.

წითელი შუქი მეოთხედფინალში აინთო

თბილისის დინამოელები თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ. მოსკოვში მიმდინარე ამ ასპარეზობაზე (მანეჟში) თბილისელებმა პირველ შეხვედრაში თავიანთ ჯგუფში 7-0 დაამარცხეს „პამირი“, მერე კი „ჟალგირისთან“ დამარცხდნენ 1-3. გავიდოდა თუ არა „დინამო“ მეოთხედფინალში, „ქიაფაზთან“ მატჩში გადაწყდებოდა. საბედნიეროდ, ჩვენებმა ეს ზღუდე გადალახეს — გაიმარჯვეს 3-0. მაგრამ აი, მეოთხედფინალის შეხვედრა მინსკის „დინამოსთან“ და... მარცხი — 1-2.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ფრენბურთის ფედერაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების კაპიტანი, ვეტერანი სპორტსმენი

ნიკოლოზ მუსხელიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ატლანტის საგზურისათვის

3+2-ის ქულები

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ ძიუდოს ქართველმა ოსტატებმა დავით ხახალეიშვილმა, გიორგი ვაზაგაშვილმა და სოსო ლიპარტელიანმა შარშან მოიპოვეს ატლანტის ოლიმპიადაზე გამოსვლის ლიცენზია. წლევანდელი სპორტული სეზონის დასაწყისში კვლავ გამოვიდნენ სარბიელზე ძიუდოისტები. ამჯერად უძლიერესებს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი მასპინძლობდა. ზემოხსენებული ოლიმპიელები ტურნირში არ გამოდიოდნენ, სამაგიეროდ, შვიდი ჩვენი ფალავანი ჩაება მოსკოვის ასპარეზობაში, რადგან ატლანტის საგზურის მოსაპოვებლად ამ ეტაპის გავლა აუცილებელი იყო. სამწუხაროდ, შედეგები არცთუ სახარბიელოა. საგზურისათვის ქულები მხოლოდ ორმა ფალავანმა — გიორგი წმინდაშვილმა (86 კგ) და გიორგი რევაზიშვილმა (65) დაიმსახურა. წმინდაშვილმა პირველობა მოიპოვა, რევაზიშვილი კი მეორე იყო. მათ გარდა ტურნირში გამოდიოდნენ: ლევან სულხანიშვილი, ჯონდო მუზაშვილი, იმერი ჯიქურაული, მევლუდ ლობჟანიძე და გია გუგავა.

რატომ გაიმეტეს შულცი?

ამერიკაში 36 წლის სპორტსმენები თავიანთი სიკვდილით არ კვდებიან. არ არის არც საამისო პირობები და, ბუნებრივია, არც ხალისი. ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში 36 წლის დეივ შულცი, სიკვდილისთვის კი არა, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში გამოსასვლელად ემზადებოდა. ვარჯიშობდა იგი ცნობილი ამერიკელი მილიარდერის დიუპონის საგვარეულო მამულში ამ კლანის ერთ-ერთ შთამომავალთან ერთად. ახალგაზრდა დიუპონი და შულცი მეგობრობდნენ და ამიტომ ძნელი დასადგენია რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ მილიარდერმა უახლოესი ადამიანი. თუმცა, ამას ამერიკის მართლმსაჯულება და პრესა წვრილად გამოარკვევს და დაადგენს. შულცის უბედურებამ გულწრფელად შეაწუხა საქართველოს მოჭიდავეთა საძმო, ვინაიდან ამერიკელი ჩვენების ახლო მეგობარი და საქართველოს ხშირი სტუმარი იყო (ორჯერ აქვს მოგებული თბილისის საერთაშორისო ტურნირი). შულცს ისე მოსწონდა აქაურობა, რომ ერთხელ ჩვენს ქალაქში მეუღლე ნენსი და 1 წლის ვაჟიშვილი ალექსანდერიც კი ჩამოიყვანა.

ფოტოზე, რომელიც ჩვენი სპორტის სასახლეშია გადაღებული, აღბეჭდილია შულცების ოჯახის თბილისური პერიოდის ერთი ბედნიერი დღე.

ა. კოტორაშვილის ფოტო

ფირმა „შევარდენი“
გთავაზობთ:

სპორტის სათამაშო სახეობების, საინფორმაციო და სარეკლამო
ელექტრო-ტაბლოების დამზადება-დამონტაჟებასა და რეკონსტრუქციას.
ტელეფონი: 39-85-24

იყიდება

● გაუხსნელი (შეფუთული) გერმანული კედელი „ჰაფელი“ სამეულისა, მაგიდისა და სკამების გარეშე. სიგრძე 4,8 მ. ფასი 1300 ლარი.
ტელ: 78-76-86; 93-27-78.

● რუმინული საწოლი „გალანტი“ (საწოლნახევრიანი) 2 ცალი. ფასი 1 ცალი 600 ლარი.
ტელ: 22-07-75.

რა ხდება ქვეყანაზე

● **მძლეოსანთა** „გრან-პრის“ სერიაში მორიგ წარმატებას მიაღწია მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სპრინტერმა, კანადელმა დონოვან ბეილიმ. მონრეალის სპორტის სასახლეში 60-მეტრიანი დისტანცია მან 6,54-ში გაირბინა. ამ გამარჯვებისთვის ბეილიმ 1500 დოლარი მიიღო. მასვე გადაეცა, დამატებით, 5000 დოლარი იმავე სერიის კიდევ ორ ტურნირში დაკავებული პირველი ადგილებისთვის. ჰემილტონში (ონტარიოს შტატი) მან მოიგო რბენა 50 მეტრზე, სასკატუნში (იქვე) კი პირველი იყო 60-მეტრიან დისტანციაზე.

● **ჰოლანდიის** ქალაქ ჰერენვენის დახურულ საციგურაოზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატი. ქალთა ასპარეზობა მოიგო 29 წლის გერმანელმა გუნდე ნიმანმა. კონტინენტის ჩემპიონი იგი გახდა მეშვიდედ (ჰერენვენში იგი პირველი იყო 3 და 5 კმ რბოლაში). ვაჟებში ჩემპიონის ოქროს მედალი მესამედ ხვდა 25 წლის ჰოლანდიელ რინტიე რიიტსმას, რომელიც არც ერთ დისტანციაზე არ ყოფილა პირველი.

● **ფინელმა** იანი სიევინენმა ქვეყნის ჩემპიონატზე 400 მ. კომპლექსურ ცურვაში აჩვენა 4.06,03. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია. ძველი რეკორდი იმავე სიევინენმა ორი წლის წინ დაამყარა შვეციაში. სხვათა შორის, 21 წლის მოცურავეს ეკუთვნის კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი — 200 მ. კომპლექსურ ცურვაში (1.58,16), რომელიც მან აჩვენა რომში, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

● **საფრანგეთის** ქალაქ პონშატოში გაიმართა მსოფლიო თასის ბოლო, მეშვიდე ეტაპი ველოკროსში, რომელიც მოიგო ჰოლანდიელმა ანდრიე ვან დერ პოელმა. საერთო ჩათვლაში საპატიო პრიზის მფლობელი გახდა იტალიელი ლუკა ბრამატი, რომელმაც ეტაპების ჯამში 100 ქულა დააგროვა.

● **შარშან** აგვისტოში, აშშ-ს მოცურავეთა ჩემპიონატზე გამარჯვებულ 15 წლის გოგონას ჯესიკა ფოშს სისხლში აკრძალული სტეროიდი აღმოუჩინეს. ამის გამო იგი არ შეიყვანეს ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში. შეიქმნა სპეციალური კომისია ლოს-ანჯელესის დოპინგსაწინააღმდეგო ლაბორატორიის შეფის დონ კეტლინის ხელმძღვანელობით, რომელიც დაადგენს, რამდენად სამართლიანი იყო ცურვის ეროვნული ფედერაციის ეს გადაწყვეტილება.

● **23 წლის** პორტუგალიელმა ავტომობილისტმა პედრო ლამი დომინგუშ პიედადემ ხელი მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს „მინარდის“ გუნდთან. იგი ამ ხნის განმავლობაში იქნება „ფორმულა-1-ის“ პირველი პილოტი. არ არის გამორიცხული, რომ კონტრაქტი გაგრძელდეს კიდევ ორი სეზონით (1998 წლამდე).

● **ექიმების** კონსილიუმმა დაადგინა, რომ სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის გათამაშების ლიდერი, 25 წლის ნორვეგიელი ლასე კიუსი ჯანმრთელია. მას შეუძლია გამოვიდეს სლალომისტთა შეჯიბრების მორიგ ეტაპზე, რომელიც იტალიის სესტრიერში გაიმართება. კიუსი დაშავდა კიტცბიუელის ტრასაზე, როცა 100 კმ სისწრაფით მოქროდა სწრაფდაშვების ტრასაზე.

● **სამი წლის** წინ, იტალიის „გრან-პრის“ ტრასაზე მძიმედ დაშავდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი მოტოსპორტში (500 კბ სმ. კლასი) ამერიკელი უეინ რეინი. ამის მიუხედავად იგი არ ჩამოსცილდა ველოსპორტს და ინვალიდის ეტლში მჯდომმა ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც „იამახის“ დროშის ქვეშ მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში (500 და 250 კბ. სმ. კლასი). ამ გუნდში შევიდნენ იტალიელი ლორის კაპიროსი (500-იანი) და იაპონელი ტეცუე ხარადა (250-იანი)

● **„ფორმულა-1-ის“** მორიგი, 47-ე გათამაშება დაიწყება 10 მარტს მელბურნში. ახალ სეზონში „ფერარი“ წარმოადგენს არა მხოლოდ ახალ ავტომობილისტთა წყვილს, არამედ ახალ, 10-ცილინდრიან ძრავას. „ფორმულის“ ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი სამხრეთ საფრანგეთში ამოწმებს ამ ძრავის სამუშაო თვისებებს.

რა ხდება ქვეყანაზე

აფხაზეთი, შობილი წარსულისაგან...

მას უმსაჯია «უემბლიზე»...

ფეხბურთის მოყვარულებს რომ შეეკითხო ანატოლი მილჩენკოს შესახებ, დარწმუნებული ვარ, უმეტესობა გეტყვის — [illegible] ის სოხუმელი არბიტრი რომ იყო?!" არადა, აფხაზეთის დედაქალაქში ა. მილჩენკო პირველად მხოლოდ 20 წლისა მოხვდა. იქვე დაოჯახდა სულიკო ტყებუჩავაზე — სახელგანთქმულ მეკარე ამირან ტყებუჩავას ნათესავზე, მანამდე კი...

ბორჯომში დაიბადა, იქ გადადგა პირველი ნაბიჯები ფეხბურთში. ადგილობრივ „ჩანჩქერში“ თამაშობდა ნახევარმცველად ჯემალ ზეინკლიშვილთან, ნოდარ სარჯველაძესთან, ელგუჯა ორჯონიკიძესთან ერთად. 19 წლისა თბილისის არმიელთა გუნდში აიყვანეს. აქ მისი პარტნიორები იყვნენ ვლადიმერ გაჩიევი (შემდგომში ბაქოს „ნეფტჩის“ წამყვანი თავდამსხმელი), ოთარ ნიშნიანიძე, ზაურ ზუხბაია — მოგვიანებით ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას იცავდნენ.

იმ დროისათვის შესანიშნავი თბილისელი დინამოელი ნიაზ ძიაპშიპა სოხუმის „რიწას“ ავარჯიშებდა და ა. მილჩენკო შავი ზღვის სანაპიროზე მიიწვია შეკრებაზე. გამოცდილმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი გუნდში — ბორის ხასაიამ, იური გრამატიკოპულომ, აბრეკ მინჯიამ, გარი სორდიამ. ანატოლი მალე სოხუმის „დინამოში“ გადავიდა, რომელიც საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფში თამაშობდა. აქ მისი პარტნიორები იყვნენ ნიჭიერი ფეხბურთელები ალექსანდრ ილიადი, გენო ზარია, არჩილ ერქომაიშვილი.

ჯერ კიდევ თავისი თამაშის პერიოდში დაინტერესდა მსაჯობით, მოსწონდა კიდეც ეს პროფესია. ახლა შავი ზღვის სანაპიროზე სეზონისწინა საგაზაფხულო შეკრებებზე მხოლოდ ფეხბურთელთა თამაშს კი არ ადევნებდა თვალყურს, არამედ არბიტრების მოქმედებასაც — ნიკოლაი ლატიშევის, ელმარ საარის, მიხაილ დიმიტრიევის, პიოტრ ბელოვის მსაჯობას, ძალიან მოსწონდა ინგლისელი არტურ ელისის, თბილისელების ნესტორ ჩხატარაშვილის, ვახტანგ რამიშვილის, სერგო სიხარულიძის „სასტვენები“. ცდილობდა მიებაძა გერმანელი კურტ ჩენჩერისათვის და იტალიელი არტემიო ლობელოსათვის.

ანატოლი მილჩენკოს დიდმა გამოცდამ არ დააყოვნა. 1963 წლის სეზონში, 28 მარტს სოხუმში დანიშნეს საკონტროლო მატჩი ცსკა-სა და ორეხოვო-ზუევოს „კრასნოე ზნამიას“ შორის. ოთხ დღეში მოსკოველ არმიელებს საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი უნდა ჩაეტარებინათ თბილისში ჩვენს „დინამოსთან“ და ცსკა-ს უფროსი მწვრთნელი, ლეგენდარული ვსევოლოდ ბობროვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ უკანასკნელ საკონტროლო შეხვედრას. სოხუმში მატჩი უნდა ემსაჯა სოჭელ არბიტრ პიოტრ გავრილიადის, მაგრამ მსაჯი ვერ ჩამოვიდა. საგონებელში ჩავარდნენ ორგანიზატორები. ადგილობრივ დინამოელთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მიხეილ თურქიამ ყველასათვის მოულოდნელად მატჩის მსაჯად ანატოლი მილჩენკოს კანდიდატურა წამოაყენა. იმხანად ანატოლის მცირე ტრავმა ჰქონდა და თავდაპირველად დაეჭვდა, შეძლებდა თუ არა მსაჯობას. ბოლოს მაინც დათანხმდა წინადადებაზე. არმიელები იგებდნენ შეხვედრას — 1:0, როდესაც ა. მილჩენკომ საჯარიმოში ორეშნიკოვის „მოცელვისათვის“ მათ კარში 11-მეტრიანი დანიშნა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. თამაშის შემდეგ ა. მილჩენკოს უთხრეს, რომ მას ვ. ბობროვი და მ. თურქია ეძებენ. ეჭვი არ იყო, ალბათ, უნდა გაელანძღათ იმ პენალტისათვის, მაგრამ ანატოლისათვის მოულოდნელად, ბობროვმა ხელი ჩამოართვა მას, მადლობა გადაუხადა კორექტული და კვალიფიციური მსაჯობისათვის, ბოლოს კი ჰკითხა, კიდევ რომელ მატჩებს მსაჯობდა ეს ახალგაზრდა არბიტრი. როდესაც შეიტყო, რომ მილჩენკოს ასეთი რანგის არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია, გაეცინა და თქვა, რომ ამის შესახებ აუცილებლად შეატყობინებს თბილისშიც და მოსკოვშიც. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ ა. მილჩენკომ მოწვევა მიიღო ჩვენი ფედერაციიდან — დავით ცომაიასაგან. სამსაჯოდ იწვევდნენ თბილისში ერთობ პრინციპულ მატჩზე — 31 საავიაციო ქარხნისა და ბოლნისის გუნდებს შორის. საქმე ისაა, რომ გამარჯვებული რესპუბლიკის პირველობის პირველი ჯგუფის ტურნირში მონაწილეობის უფლებას იღებდა. ბოლნისელებმა მინიმალური ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს. ავტორიტეტულმა ჟიურიმ ნესტორ ჩხატარაშვილის, ვახტანგ რამიშვილის, გიორგი ბაქანიძის, ჯონდო შავდიას, ოტია ჟორდანიას შემადგენლობით ახალბედა არბიტრს ამ საკმაოდ მძიმე შეხვედრის საუკეთესოდ ჩატარებისათვის შეფასება „კარგი“ დაუწერა. ა. მილჩენკო ოფიციალურად დაუშვეს საქართველოს პირველობის მატჩების მსაჯად. სულ მალე მას რესპუბლიკური კატეგორია მიენიჭა.

— კარგად გამოგდის მსაჯობა, ასევე განაგრძელე! — უთხრა ახალგაზრდა არბიტრს ვ. რამიშვილმა. ა. მილჩენკო იმ დღის შემდეგ სერიოზულად დაინტერესდა მსაჯობით და საბოლოოდ გააკეთა ცხოვრების არჩევანი. ეს იყო 1964 წელს.

ახალ, 1965 წლის სეზონის დასაწყისში ა. მილჩენკო საკავშირო უმაღლესი და პირველი ლიგების მსაჯების შეკრებაზე გამოიძახეს სოჭსა და ადლერში. შეკრებას ხელმძღვანელობდა ცნობილი მოსკოველი არბიტრი პაველ კაზაკოვი. მეცადინეობებს ატარებდნენ ნიკოლაი ლატიშევი, ვიაჩესლავ მორგუნოვი, სერგეი არხიპოვი. ამ ორკვირიან შეკრებაზე ა. მილჩენკოს გარდა საქართველოდან იყვნენ გიორგი ბაქანიძე, კარლო ყრუაშვილი, ილია ბოჭორაძე, გურამ აკობაშვილი, ზურაბ თოდაძე.

1967 წელს ა. მილჩენკოს ანდეს საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩის არბიტრობა. ეს იყო შეხვედრა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. ავტოქარხნელთა გუნდში გამოდიოდნენ ფეხბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორიც იყვნენ ედუარდ სტრელცოვი, ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი. მიუხედავად ამისა, თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კუიბიშეველმა არიაპოვმა გახსნა ანგარიში და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს. მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელებმა მადლობა გადაუხადეს ანატოლის, თუმცა კოლეგებმა უთხრეს, რომ ვინაიდან მოსკოველები „დაამარცხა“, უკვე აღარ მიიწვევდნენ უმაღლესი ლიგის მატჩების სამსაჯოდ...

1000-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ანატოლი მილჩენკოს, აქედან 365 შეხვედრაში მთავარი მსაჯი იყო. მრავალჯერაა შეყვანილი სსრკ საუკეთესო არბიტრთა ათეულში, დააჯილდოვეს ოქროსა და ვერცხლის საპატიო მედლებით, გახდა ფიფას არბიტრი. უმსაჯია მატჩები ბეკენბაუერის, მიულერის, ვან ბასტენის, ლინეკერის, კრუიფის, მარადონას, ნეტცერის, პროხაზკას, გულიტის მონაწილეობით.

ა. მილჩენკო დღესაც სიამოვნებით იხსენებს „თავის“ ისეთ მნიშვნელოვან მატჩებს, როგორიც იყო 1972 წლის შეხვედრა უეფას თასის ფინალში „ვულვერჰემპტონსა“ და „ტოტენჰემს“ შორის (ტ. ბახრამოვთან და ი. ლუკიანოვთან ერთად არბიტრობდა), უეფა-ს იუნიორთა თასის ფინალი 1974 წელს ბერნში ფინეთისა და ინგლისის ნაკრებთა შორის, იუნიორთა 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შეხვედრა (მექსიკა — ალჟირი) იაპონიაში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები სტოკჰოლმში (შვეცია — პორტუგალია) და ბელფასტში (ჩრდილოეთ ირლანდია — შოტლანდია), საკავშირო თასის ორდღიანი ფინალი მოსკოვის „სპარტაკსა“ და როსტოვის ასკ-ს შორის 1971 წელს, ხალხთა VIII სპარტაკიადის მატჩი III ადგილისათვის მოსკოვისა და უკრაინის ნაკრებთა შორის. ამ სიის გაგრძელება, ცხადია, კიდევ შეიძლება: 1984 წელს, ავსტრია — ჰოლანდია (1:0), 1985 წელს, ისლანდია — შოტლანდია (0:4), ამავე წელს მან მინსკელ ვადიმ ჟუკთან და ომსკელ ვლადიმერ კუზნეცოვთან ერთად სახელგანთქმულ ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე იმსაჯა ინგლისისა და თურქეთის ნაკრები გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მანამდე „უემბლიზე“ საბჭოთა არბიტრებიდან მხოლოდ მოსკოველ ნიკოლაი ლატიშევს ჰქონდა ჩატარებული მატჩი. სხვათა შორის, 1986 წელს ა. მილჩენკოს უნდა ემსაჯა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები მექსიკაში, ფიფამ მიიწვია იგი ოფიციალურად, მაგრამ მოულოდნელად იქ... მოსკოველი ა. ბუტენკო გაემგზავრა. მას არ ჰქონდა ჩატარებული არც ერთი შესარჩევი შეხვედრა, სამაგიეროდ... ვიაჩესლავ კოლოსკოვის დიდი მეგობარი გახლდათ! ამას ისიც დაემატა, რომ იმ სეზონში მილჩენკომ კიევისა და მინსკის გუნდების მატჩში (4:2) მინდვრიდან გააძევა მინსკელები გოცმანოვი და როდიონოვი. ერთი სიტყვით, კიეველები ჩემპიონები გახდნენ და საკავშირო ფედერაციაში ძალიან განაწყენდნენ ა. მილჩენკოზე. მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატის ნაცვლად იგი... ინდოეთში გააგზავნეს ჯავაჰარლალ ნერუს ტურნირზე. სხვათა შორის, ანატოლიმ იქაც დაიმსახურა ოქროს მედალი კარგი მსაჯობისათვის.

ანატოლი მილჩენკოს პორტრეტი სრული არ იქნება თუ არ გიამბეთ მის ვაჟზე — ზურაბზე. იგიც კარგი არბიტრი გახლდათ. დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, მისდევდა სამთო თხილამურებს, ზურაბი უნივერსიტეტისა და სოხუმის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდებში გამოდიოდა. მერე მამის კვალს გაჰყვა — სჯიდა აფხაზეთის, საქართველოს, საკავშირო პირველობების მატჩებს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გახდა. დღეს იგი მოსკოვში ცხოვრობს, ტურიზმის სფეროში მოღვაწეობს. ანატოლი მილჩენკოს ზურაბის გარდა, გამოზრდილი ჰყავს კიდევ ბევრი ნიჭიერი საფეხბურთო არბიტრი — სოხუმელები გურამ გაბესკირია, გრიგოლ პოლოსიანი და ბორის ჩერნიახოვსკი, გაგრელები ზურაბ კოლუაშვილი და ნოდარ ცანავა, ოჩამჩირელი ადიკ დურსუნიდი.

ანატოლი მილჩენკო 1974 წლიდან მთელი 18 წელიწადი სათავეში ედგა ტურისტულ კომპლექს „სოხუმს“. დღეს 58 წლის არბიტრი კიევში ცხოვრობს აფხაზეთიდან 62 ათას ლტოლვილთან ერთად, არის საქართველო — უკრაინის მეგობრობის საზოგადოებრივი გაერთიანების პრეზიდენტი და ყველასთან ერთად მშობლიურ სოხუმში დაბრუნებაზე ოცნებობს. ვინ იცის, იქ თავის სახლში ეგებ ისევ დახვდეს მარადონას, კრუიფის, გულიტის ფოტოსურათები, რომლებზეც ისინი... ცნობილ სოხუმელ არბიტრთან ანატოლი მილჩენკოსთან ერთად არიან გადაღებულნი.

ოთარ ნოზაძე

სურათზე:
ანატოლი და ზურაბ მილჩენკო ბორის ჩერნიახოვსკისთან ერთად სამსაჯოდ გამოდიან თბილისში ერთ-ერთ მატჩში.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

დებიუტანტი

ზურაბ ბათიაშვილი

ფეხბურთი

დაიბადა 1980 წლის 6 თებერვალს თბილისში.

სიმაღლე 182 სმ, წონა 64 კგ.

სწავლობს თბილისის №1 საშუალო სკოლაში.

ფეხბურთის თამაში დაიწყო 8 წლის ასაკში ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ ბავშვთა გუნდში კ. ჯალიაშვილთან, შემდეგ პირადად ავარჯიშებდა გ. გაგუა, ოსტატდებოდა აგრეთვე აწ განსვენებულ გია ფირანიშვილთან, ამჟამად მეცადინეობს დავით დუიშვილთან.

საფეხბურთო კლუბ „თბილისის“ (მეპატრონე სასტუმრო „აჭარა“) წევრია, მეკარე. წარმატებები: 10 წლისამ თანატოლთა ნაკრებში გაიმარჯვა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. არის „დალასის თასის“ და „მიხეილ მესხის“ თასის გათამაშებების გამარჯვებული.

ახლახან გერმანიაში საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა ჭაბუკებმა ფინალში დაამარცხეს უძველესი კლუბის „შალკე-04“-ის მემკვიდრეები. გერმანის პრესა წერდა: „ტურნირში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეკარეებმა, მათ შორის კი უძლიერესი იყო „აერჯორჯია — თბილისის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილი. იგი საიმედო გარანტი იყო დაძაბულ ფინალში თავისი გუნდის წარმატებისა...“

ეს სპორტსმენებს და სხვებსაც აინტერესებთ

როგორც ცნობილია, აშშ-ის 100 დოლარიანი კუპიურები თანდათანობით უნდა შეიცვალოს ახლით, მაგრამ კონკრეტულად როდიდან და რა წესით?

ყველას, ვინც ამ საკითხთან დაკავშირებით დაგვირეკა, დაბეჯითებით შეგვიძლია ვუთხრათ. არც კონკრეტული თარიღი, არც ძველი 100 დოლარიანების ახლით შეცვლის ამომწურავი ინფორმაცია არ მოიპოვება. ამ საქმეში ყველაზე კომპეტენტურნი, მათ შორის თვით აშშ-ს ოფიციალური სამსახურები, აცხადებენ, რომ დაწვრილებით ყველაფერი დოლარების შეცვლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გამოცხადდება.

მკითხველი — გაზეთი

ცნობის დიდი წადილით ვადევნებ თვალს თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სიას საქართველოს სპორტსმენებისას, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ ოლიმპიური სტატუსი, რაც მათ უფლებას აძლევს დაიცვან საქართველოს ღირსება ატლანტის თამაშებში. ჯერ არაფერი ვიცი ამ მხრივ ქართველ მოკრივეთა შესახებ.

გთხოვთ გაზეთის საშუალებით გაგვაგებინოთ, რა შანსები აქვთ მათ XXVI ოლიმპიადაზე გამგზავრებისა?

ლევიკო ლამბაშიძე
ქ. ზესტაფონი.

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ახლახან შვეციის ქალაქ ხუნდსვალში ჩატარდა მოკრივეთა ტრადიციული ტურნირი. უძლიერესებს ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეთა სტატუსი ენიჭებოდათ. შეჯიბრებებში, ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მოკრივეები [illegible] გ. კანდელაკი, [illegible] კ. გოგოლაძე, ქუთაისელი [illegible] ბ. [illegible] (ხარჯები [illegible] დეპარტამენტმა და არა ნ. [illegible], როგორც კრივის ფედერაციამ ადრე გამცნო). კიდევ რამდენიმე მსგავს ტურნირს გამართავს აიბა, რომლის შედეგების მიხედვით საბოლოოდ დადგინდება თუ ვინ წავა ატლანტაში. „ევროპა-96“ ჩემპიონატში (ამ ზაფხულზე, დანიაში) ყველა წონის კატეგორიაში I-IX ადგილებზე გამოსული მოკრივეები კი მიენიჭება ოლიმპიური სტატუსი. ამ წლიდან [illegible] ქართველი მოკრივეები.

წვერებიანი რეკორდები და რეკორდსმენები

სიგრძეზე ხტომაში თავისი ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდის დამყარების 20 წლისთავზე (1988 წელს) ბობი ბიმონს უთქვამს: „ვერ წარმოიდგენთ, როგორ ტვირთად მაწევს ის, რამაც 20 წლის წინ ასეთი სიხარული, ბედნიერება და სახელი მომიტანა. დღეს ჩემი თავი ყველაზე ხანდაზმულ კაცად მიმაჩნია მსოფლიოში. მოუთმენლად ველოდები იმ დღეს, როცა ვინმე, თუნდაც ერთ სანტიმეტრს მიუმატებს ჩემს რეკორდს, და პასუხისმგებლობას თავის თავზე აიღებს“. გვჯერა, რომ ბიმონი, როცა ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, გულწრფელი იყო. ბიმონის რეკორდმა ზუსტად 22 წელი და 10 თვე იარსება, მაგრამ ვაჟთა მძლეოსნობაში მასზე უფრო ხანდაზმული რეკორდიცაა რეგისტრირებული.

ყველაზე უფრო საინტერესო კი ისაა, რომ ხანდაზმულ მსოფლიო რეკორდთა შორის, სამი უმაღლესი მიღწევის ავტორი გახლავთ ლეგენდარული ამერიკელი სპრინტერი და სიგრძეზე მხტომელი ჯესი ოუენსი. 1935 წლის 25 მაისს ამერიკის ქალაქ ენ არბორში ჯესი ოუენსმა მოიგო სიგრძეზე მხტომელთა ტურნირი და აჩვენა იმ დროისათვის მართლაც ფანტასტიკური შედეგი — 8 მეტრი და 13 სანტიმეტრი. ფანტასტიკური იყო ეს შედეგი ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ოუენსმა მსოფლიოს უძლიერეს მხტომელთა შორის პირველმა გადალახა რვამეტრიანი ზღვარი და მეორეც, იაპონელ ჩ. ნამბუს მიერ 1931 წელს ნაჩვენებ 7,98 მეტრს მთელი 15 სანტიმეტრი წაუმატა, ხტომებში კი რეკორდების ცვლა, მოგეხსენებათ, თითო-ოროლა სანტიმეტრით ხდება.

25 წელსა და 3 თვეს მიმდინარეობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაათეთრებული იერიშები ოუენსის რეკორდზე და მხოლოდ ამ კოლოსალური პერიოდის — მეოთხედი საუკუნის გავლის შემდეგ დაამხო იგი მეორე ამერიკელმა მხტომელმა რალფ ბოსტონმა. ეს მოხდა 1960 წლის 12 აგვისტოს, ვალუნტში. ბოსტონმა თავისი დიდი წინაპრის შედეგს 8 სანტიმეტრი წაუმატა და ახალმა მსოფლიო რეკორდმა (8,21 სმ) დაიწყო ცხოვრება, რომელიც მაინცდამაინც ხანგრძლივი არ გამომდგარა. ერთი წლის შემდეგ, იმავე ბოსტონმა, ორჯერ გააუმჯობესა თავისივე მიღწევა (8,24 მ და 8,28 მ) და უფლებამოსილება გადასცა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს იგორ ტერ-ოვანესიანს, რომელიც ასევე მცირე ხნით, სულ ორი წლის მანძილზე იყო მსოფლიო რეკორდსმენის როლში (სხვათა შორის, ბოსტონმა ისევ დაიბრუნა რეკორდი, მაგრამ შემდეგ ისევ გადააბარა იგი ტერ-ოვანესიანს).

როგორც ხედავთ, ოუენსის შემდეგ მსოფლიო რეკორდსმენი იყო მხოლოდ ორი მძლეოსანი — ბოსტონი და ტეროვანესიანი. მათი ბრძოლა ორჯერ სარეკორდო შედეგით აღინიშნა. ბოლოს ტერ-ოვანესიანის წყალობით, რეკორდმა 8 მეტრსა და 35 სანტიმეტრს მიაღწია. ეს შედეგი სომეხმა მძლეოსანმა მაღალმთიან მეხიკოში აჩვენა 1967 წლის 19 ოქტომბერს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ (უფრო ზუსტად, 1968 წლის 18 ოქტომბერს) იმავე მეხიკოში დაიბადა რობერტ (ბობ) ბიმონის ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი — 8,90, რომელმაც მაშინვე შეიძინა ლეგენდის მნიშვნელობა, ვინაიდან ძველ მიღწევაზე უკეთესი იყო მთელი 55 სანტიმეტრით (!).

ამ დღიდან დაიწყო ბიმონის რეკორდის ათვლა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელმაც არსებობა შეწყვიტა 22 წლისა და 10 თვის შემდეგ, 1991 წლის 30 აგვისტოს, ტოკიოში. იუბილარი ამჯერადაც ამერიკელი მხტომელი გახლდათ — მაიკ პაუელი. დღეს მისი შედეგი 8,95 მეტრი მსოფლიოს ძლიერეს მხტომელთა მთავარი სამიზნეა.

მეორე, ასევე ეპოქალური მსოფლიო რეკორდი, რომელმაც 20 წელი და ორი თვე იარსება, ჯესი ოუენსმა დაამყარა 1936 წლის 20 ივნისს, ჩიკაგოში. ეს იყო მართლაც დაუჯერებელი მიღწევა 100 მეტრზე რბენაში — 10,2. ოუენსი გახდა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ადამიანი. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ უსათუოდ. სპრინტში რეკორდების ათვლა ხდება წამის მეასედებით და ამდენად რაიმე სერიოზულ ცვლილებებზე ლაპარაკი ზედმეტია. ის კი არა, ოუენსის 10,2 წამს სპრინტერები იმეორებდნენ მთელი 20 წლის განმავლობაში, თუნდაც ერთი ერთეული მისი გაუმჯობესება კი უ. უილიამსამდე ვერავინ შესძლო. ასე რომ, ოუენსის რეკორდს შვიდი თანაავტორი ჰყავდა (ჰ. დევისი, ლ. ლა-ბიჩი, ნ. ოუელი, მ. ბეილი, ჰ. ფიუტერერი, ბ. მოროუ, ა. მერჩისონი), თანაც მოროუმ იგი სამჯერ გაიმეორა, მერჩისონმა კი ორჯერ, მაგრამ რეკორდი, რომელიც ზემოთ ვთქვით, დაამხო უილიამსმა, დასავლეთ ბერლინში, 1956 წლის 3 აგვისტოს.

მესამედ ჯესი ოუენსის გვარი, როგორც ხანდაზმული რეკორდსმენისა, ფიგურირებს ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. 1936 წელს ბერლინის XI ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ს გუნდმა, რომელშიც ოუენსის გარდა გამოდიოდნენ რ. მეტკალფი, ფ. დრეიპერი და ფ. უაიკოფი, აჩვენა 39,8 (ეს, ამავე დროს, იყო პირველი გამოსვლა 40 წამიდან) და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელმაც იარსება 20 წელი და 4 თვე. ეს შედეგი გაუმჯობესდა ისევ ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ უკვე მელბურნში 1956 წლის 1 დეკემბერს. ახალი რეკორდსმენიც (39,5) აშშ-ს გუნდი იყო, რომელშიც გამოდიოდნენ ა. მერჩისონი, ლ. კინგი, ტ. ბეიკერი და ბ. მოროუ.

ჯესი ოუენსი

დაბოლოს, კიდევ ერთ რეკორდსმენ მსოფლიო რეკორდზე, რომლის ავტორი გახლავთ ამერიკელი პატრიკ რაიანი. ამ პიროვნების ღვაწლი მძლეოსნობის ისტორიაში განსაკუთრებულია, ვინაიდან იგი ითვლება პირველ მსოფლიო რეკორდსმენად უროს ტყორცნაში. ეს მოხდა ნიუ-იორკში, 1913 წლის 17 აგვისტოს, როცა რაიანმა ურო 57,77 მეტრზე ტყორცნა და დასაბამი დაუდო უმაღლესი მიღწევების რეგისტრაციას მძლეოსნობის ამ სახეობაში. რაიანმა ამ შედეგით გარკვეულწილად გაუსწრო თავის ეპოქას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რაიანისეული რეკორდის გაუმჯობესება მოხერხდა მხოლოდ 25 წლის შემდეგ, 1938 წლის 27 აგვისტოს. სწორედ ამ დღეს სტოკჰოლმში გერმანელმა ე. ბლასკმა ურო 59 მეტრზე ტყორცნა...

ვინა ხარ, შენ, ქალი თუ მამაკაცი?

●

ევა კლობუკოვსკა

ყველაფერი დაიწყო ისე, როგორც ნამდვილ დეტექტივში ხდება: წყნარად, შეუმჩნევლად და შესაძლებლობის ფარგლებში საიდუმლოდ.

სამოციანი წლების მიწურულს, უფრო ზუსტად კი მექსიკის ოლიმპიადის წინ, საკმაოდ ცნობილ ქალთა ერთმა ჯგუფმა, მეტწილად მძლეოსნებმა, ყოველგვარი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე, მაგრამ ბევრისათვის მოულოდნელად, დატოვა დიდი სპორტი. სარბიელიდან წასვლა, თავისთავად, დიდი არაფერია. ადრე თუ გვიან, დგება ხოლმე დრო, როცა ტვირთის ზიდვა ძნელი ხდება. ამ შემთხვევაში გასაკვირი იყო ის, რომ სპორტსმენებმა კარიერის დასრულება ოლიმპიადის წინ გადაწყვიტეს და არა თამაშების შემდეგ, რაც უფრო ბუნებრივი იქნებოდა და ლოგიკურიც.

დაახლოებით იმავე პერიოდში (1967 წ.) სპორტის მოყვარულებმა შეიტყვეს, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფი) მსოფლიოსა და ევროპის რეკორდების ცხრილიდან ამოიღო შესანიშნავი პოლონელი მორბენალის ევა კლობუკოვსკას გვარი. პრესა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მრავლისმეტყველად სდუმდა. ხმას არც დაზარალებული იღებდა, არადა, ხმები ერთი-მეორეზე უფრო გასაკვირი, დაუჯერებელი, საწინააღმდეგო დადიოდა. ამ ხმებში სულ უფრო ხშირად გაიგებდით იმ დროისთვის შეუჩვეველ გამოთქმას — „სექს-ტესტი“, რომლის მნიშვნელობა თითო-ოროლა სპეციალისტმა თუ იცოდა. არადა, დისკვალიფიცირებულ კლობუკოვსკას ყველაფერი არ ჰქონდა რიგზე სწორედ ამ „სექს-ტესტთან“ დაკავშირებით.

გავიდა დრო და ეს ისტორია დავიწყებას მიეცა. სამაგიეროდ თავი იჩინა ახალმა სკანდალმა, რომელიც ანაბოლიკურ სტეროიდებთან იყო დაკავშირებული. დანაშაულში მხილებულთა შორის ბევრი საქვეყნოდ ცნობილი „ვარსკვლავი“ გახლდათ და სპორტულმა საზოგადოებრიობამაც მათზე გადაიტანა ყურადღება.

მაგრამ... დროთა განმავლობაში ნებისმიერი საიდუმლოება მჟღავნდება, თანაც ახალი ფაქტები, ძალაუნებურად, ძველის გახსენებისკენ გიბიძგებს. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ავსტრიის წიგნის მაღაზიების თაროზე გამოჩნდა ბედნიერი მეუღლისა და მამის ერიკ შინეგერის მემუარები. მკითხველთა გაოცება უსაზღვრო იყო, როცა გამჟღავნდა, რომ ადრე იგი მსოფლიო ჩემპიონი ყოფილა სამთო-სათხილამურო სპორტში ქალთა შორის. მაგრამ მაშინ მას ერიკა ერქვა. 1966 წელს პორტილოს (ჩილი) დათოვლილ მთის კალთებზე ერიკა შინეგერმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ზედ ცხვირწინ აართვა სწრაფდაშვებაში ოქროს მედლის ყველაზე რეალურ პრეტენდენტებს დებ გოიჩელებს და ანი ფამოსს. ავსტრიას იმ მსოფლიო ჩემპიონატში ეს ერთადერთი ოქროს მედალი აღმოაჩნდა. ერიკა უკვე ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა, როცა სამედიცინო გამოკვლევამ დაადგინა, რომ იგი უფრო მამაკაცი იყო, ვიდრე ქალი. ბუნებრივია, ქალთა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება მას ჩამოერთვა. და მოხდა სამწუხაროდ ის, რაც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე: თავზარდაცემული და გაუბედურებული ჩემპიონი მიატოვა ყველამ — ნაცნობმაც, ნათესავმაც, მეზობელმაც. სხვა გზა რომ არ იყო, გადაწყვიტა გაეკეთებინა ოპერაცია სქესის კორექციაზე. ერიკა დაწვა ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკაში საოპერაციოდ და ნახევარი წლის შემდეგ დატოვა იგი, ოღონდ უკვე როგორც მამაკაცმა.

ევა კლობუკოვსკას ცხოვრებაც ამ მხრივ მძიმე და სტრესებით აღსავსე იყო. მაღალი, ქერათმიანი, გარკვეულწილად მომხიბლავ ევას ქალწულობაში ეჭვის შეტანა თითქოს ძნელი იყო. მაგრამ „სექს-ტესტის“ შედეგები მოულოდნელი გამოდგა, სისხლში კი მამაკაცის ჰორმონი — ტესტოსტერონი აღმოუჩინეს. შემდგომი გამოკვლევები კიდევ უფრო უიმედო იყო — ევას, ახლა უკვე, შინაგანი სასქესო ჯირკვალი დაუფიქსირეს, რომელიც მამაკაცისთვის დამახასიათებელი წესით ფუნქციონირებდა. ამას, ბუნებრივია, სამუდამო დისკვალიფიკაცია მოჰყვა. გაუქმდა მისი ყველა ადრინდელი რეკორდი და გუშინდელი „ვარსკვლავი“, რომლის სახელი ყველას პირზე ეკერა, დღეს ზედმეტი გახდა სპორტისთვის. ასეთ დროს ყველაზე გონივრული ნაბიჯი ოპერაცია იყო და ევამაც მოიცილა მამაკაცის შინაგანი სასქესო ჯირკვლები, გაიარა ჰორმონალური მკურნალობის კურსი, მაგრამ სპორტში აღარ დაბრუნებულა. ამჟამად იგი მუშაობს ერთ-ერთ უცხოურ ფირმაში, როგორც გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტი.

სანამ ქალთა სპორტს მსოფლიოში ისე, სხვათა შორის უყურებდნენ, „სექს-ტესტის“ არსებობა არავინ იცოდა, ამ სფეროში სამედიცინო კონტროლის დაწესებაზე არავის უფიქრია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალთა სპორტის ავტორიტეტი ერთი-ორად გაიზარდა და გამარჯვებათა ფასიც ერთობ მაღალი გახდა. ამან თავისთავად გაზარდა ვარჯიშის ინტენსივობა და ფიზიკური დატვირთვების სიხშირე. ქალთა სპორტში ერთგვარი დიფერენციაცია მოხდა: წარმოიშვა დაკუნთულ, ხმელი, მამაკაცურად აწყობილი სპორტსმენი ქალის ტიპი, რომელიც გაუცნობიერებელ ხალხში გარკვეულ ეჭვებს ჰბადებდა და აი, ამ ეჭვების, მითქმა-მოთქმისა და ჭორების მოსპობის მიზნით, 1966 წლის ევროპის ჩემპიონატზე (ბუდაპეშტში) ყველა მძლეოსანი ქალის სავალდებულო შემოწმება დააწესეს „სექს-ტესტზე“. ამ მეთოდის მიზანი იყო სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე სქესობრივი ვინაობის დადგენა. 1968 წლიდან ასეთი შემოწმება შემოიღეს მოთხილამურეებმა, მერე კი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა. და მოხდა სავსებით გასაგები რამ: ის, ვინც ბოლომდე არ იყო დარწმუნებული თავის სქესში, ნელ-ნელა ჩამოშორდა სპორტს.

გამორიცხულია თუ არა შეცდომები „სექს-ტესტის“ ჩატარების დროს? ალბათ არ არის გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, ერთი ასეთი ფაქტი 1985 წელს საკმაოდ გახმაურდა — აშშ-ს სტუდენტ მძლეოსანთა ჩემპიონატზე ერთ-ერთ გამარჯვებულს დაუდგინეს სერიოზული ცვლილებები ორგანიზმში. მაგრამ ორმა განმეორებითმა ანალიზმა უარყო პირვანდელი ჩვენებები. გოგონამ იჩივლა და კომპენსაციის სახით საკმაოდ დიდი თანხა აართვა ლაბორატორიის.

ნაკრებს ადგენენ გულშემატკივრები

11 თებერვალს ამერიკის ქალაქ სანანტონიოში გაიმართება ნბა-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ტრადიციული მატჩი „ყველა ვარსკვლავის“ მონაწილეობით.

გუნდები ამ შეხვედრისათვის, როგორც ყოველთვის, ამერიკელმა გულშემატკივრებმა დააკომპლექტეს წილისყრით.

აღმოსავლეთ კონფერენციის ნაკრების სასტარტო ხუთეულში მოხვდნენ: ფორვარდები — გრანტ ჰილი, („დეტროიტი“), და სკოტი პიპენი („ჩიკაგო“), ცენტრი — შაკილ ო'ნილი („ორლანდო“), მცველები — მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო“) და ანფერნი ჰარდუეი („ორლანდო“).

დასავლეთის კონფერენციის ხუთეული გამოიყურება ასე: ფორვარდები — ჩარლზ ბარკლი („ფინიკსი“) და შონ კემპი („სიეტლი“), ცენტრი — ხაკიმ ოლაჯიუვონი („ჰიუსტონი“), მცველები — კლაიდ დრეკსლერი („ჰიუსტონი“) და ჯეისონ კიდი („დალასი“). საინტერესოა, რომ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო გრანტ ჰილმა — 1.358.004. მაიკლ ჯორდანი მას 16.582 ხმით ჩამორჩა.

მოკლედ...

● ნორვეგიის ჩემპიონი თხილამურებით „სპრინტერულ რბოლაში 10 კილომეტრზე გახდა ვეგარდ ულვანგი — 22.53,0. ქალებში 5-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო ანიტა მოენი — 13.20,9.

● მონტე-კარლოს 64-ე რალი (წლეულს მან მსოფლიო თასის ეტაპის სტატუსი მიიღო) მოიგო „პეჟო-360“-ის ეკიპაჟმა (ფრანსუა დელკური და ერვე სოვაჟი).

● ცსკა-ს კალათბურთელ ქალთა გუნდი მოსკოვში დამარცხდა სლოვაკეთის „რუჟემბეროკთან“ — 70:88. ეს იყო ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური ტურნირის მატჩი.

რვა ფინჯანი ყავა 730 დღე დისკვალიფიკაცია დაუჯდა

სწორედ რომ 2 წლით ჩამოაშორეს სპორტს ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში, გერმანელი სილვია გერაში. იგი დოპინგის მიღებაში დაადანაშაულეს და ახლა, როცა სასჯელი სრულად მოიხადა, კვლავ შეუპოვრად აცხადებს, რომ არავითარი დოპინგი არ მიუღია, უბრალოდ, ზედიზედ რვა ფინჯანი ყავა მიირთვა. ეს იყო და ეს!

„ტერორისტი“ კორტზე

ანუ მატჩი, რომელიც გინესის რეკორდების წიგნში შევიდა

თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ანდრე აგასი და წარსულში არანაკლებ პოპულარული რიკარდო (პანჩო) გონსალესი ერთ დროს თურმე ნათესავები ყოფილან. დიახ, ერთ დროს, ან უფრო სწორად, სანამ აგასის და და პანჩო ცოლ-ქმარი იყვნენ. გონსალესი და რიტა 1989 წელს გაეყარნენ ერთმანეთს და ეს საჩოგბურთო ნათესაობაც დაირღვა.

პანჩო გონსალესის პიროვნება ჩოგბურთის ისტორიაში ერთგვარი საიდუმლოებითაა მოცული. სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ მისი დაუოკებელი ხასიათი, მოუთოკავი ტემპერამენტი და „ველური“ ჩვევები, რომლითაც იგი თავზარს სცემდა, აშინებდა თავის რესპექტაბელურ მეტოქეებს. ამერიკული ჩოგბურთის ერთ-ერთი თავკაცი (ცნობილი ცირკის მეპატრონე) ჯეკ კრამერი ასე იგონებს პანჩო გონსალესის თამაშს: „ქულების 50 პროცენტს იგი აგროვებდა აუღებელი მოწოდებების წყალობით, მეორე 50 პრცენტს კი მეტოქის ტერორიზებით.“ 21 წლისა იგი პროფესიონალი გახდა. ეს მაშინ დიდი ვაჟკაცობა, გაბედული ნაბიჯი იყო, ვინაიდან პროფესიონალიზმი, ფაქტობრივად, კანონს გარეშე იყო გამოცხადებული. პანჩო შეგნებულად წავიდა თვითმკვლელობაზე, მაგრამ გაუძლო დროის გამოცდას და საკმაოდ ღრმა კვალიც დატოვა ამ პოპულარული თამაშის ისტორიაში.

პანჩო და აგასი მაშინაც კი, როცა ნათესავები იყვნენ, ჩოგბურთზე არ საუბრობდნენ. ისე კი, მას არაერთი მოსაზრება გამოუთქვამს ახალგაზრდა ჩოგბურთელზე. აი ზოგიერთი მისი გამონათქვამი:

— ანდრეს, ჩემი აზრით აკლია აგრესიულობა (ეს ნაკლი ბოლო დროს გამოასწორა).

— იგი ნელა მოძრაობს კორტზე. ზედმეტი კილოგრამებიართმევს მას სისწრაფეს (დღეს ვერც ამ პუნქტში წავუყენებთ პრეტენზიას მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს).

— დარტყმები ძლიერი აქვს, ამიტომ უფრო ხშირად უნდა გამოდიოდეს ბადესთან.

— მეტოქეს რომ ერთი კუთხიდან მეორეში დაარბენინებს, დიდი პლიუსია. ეს მას საშუალებას აძლევს შეასრულოს გადამწყვეტი დარტყმა და წარმატებით დააგვირგვინოს შეტევა.

პანჩო გონსალესი დაიბადა 1928 წლის 9 მაისს ლოს-ანჯელესში. წარმოშობით მექსიკელმა ჩოგბურთის თამაში დაიწყო 8 წლის ასაკში. 1948-49 წლებში იყო აშშ-ს ჩემპიონი. 1949 წელს ფ. პარკერთან წყვილში ჯერ საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მოიგო, მერე კი უიმბლდონი. იმავე 1949 წლიდან კრამერის ცნობილი ცირკის წამყვანი მოთამაშე გახდა: 1966 წელს გაიმარჯვა ლონდონის ტურნირში, სადაც დაამარცხა როდ ლეივერი და კენ როზუოლი.



პანჩო გონსალესის ერთი პარტია გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი და დღეს სწორედ მასზე გვექნება საუბარი.

ეს მოხდა 1969 წელს. 41 წლის პანჩო, სხვა პროფესიონალებთან ერთად, ისევ გამოჩნდა უიმბლდონის კორტებზე. პირველ წრეში მისი მეტოქე იყო პუერტორიკოელი ამერიკელი, 25 წლის ჩარლზ პასარელი, რომელიც აშშ-ს კლასიფიკაციაში პირველ ნომრად გადიოდა. სოლიდური სხვაობა ასაკში პანჩოს აიძულებდა, რაც შეიძლებოდა მალე დაემთავრებინა ბრძოლა და ძალები მომდევნო შეხვედრებისთვის შემოენახა.

შეხვედრა დაიწყო ზუსტად 6 საათზე, 8 საათისათვის კი, როცა ბინდი ჩამოწვა კორტებზე, გაირკვა, რომ ჯერ პირველი პარტიაც არ იყო დამთავრებული. სადემონსტრაციო ტაბლოზე ალბეჰდილი იყო 4 ორიანი — 22:22. გონსალესმა 11 სეტბოლიდან დაიძვრინა თავი, მაგრამ საბოლოოდ პასარელმა მაინც მოიგო პარტია — 24:22. გეიმების ასეთი რაოდენობა ხშირად მთელ მატჩს ყოფნის ხოლმე.

მეორე პარტიის დასაწყისში მთლად ჩამობნელდა. პანჩომ ფაქტობრივად შეწყვიტა ბრძოლა და პასარელმა ეს ხელიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 6:1. შეხვედრა გადაიდო მეორე დღისათვის.

ეს ორთაბრძოლა განახლდა შუადღეს, როცა მზე უიმბლდონის კორტებზე ზენიტში იყო, თამაშის სანახავად მოვიდა 18 ათასი მაყურებელი და, უნდა ითქვას, რომ მათი მოლოდინი მთლიანად გამართლდა. მოედანზე გაჩაღდა მკაცრი, უკომპრომისო ბრძოლა. მეტოქეები იგებდნენ თავიანთ მოწოდებას მანამ, სანამ პანჩომ „არ წამოიკიდა“ ახალგაზრდა მეტოქე. მესამე პარტია გონსალესის გამარჯვებით დამთავრდა — 16:14. მეოთხეში მისი უპირატესობა უფრო აშკარა იყო — თუმცა... გამოცდილი თვალი შეატყობდა, რომ ვეტერანს უკვე უჭირდა კორტზე გადაადგილება, ისე სწრაფად ვეღარ დასდევდა ბურთს. რა გასაკვირია, ფიზიკური გამძლეობა ღალატობდეს, როცა 40-ს ხარ გადაცილებული?

მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში პასარელი დაწინაურდა 5:4. და... იქვე მოიგო ზედიზედ სამი ქულა. ანგარიში გახდა 40:0 — სამმაგი მატჩბოლი! მაგრამ პანჩომ შეუძლებელი შეძლო, ახლა თვითონ მოიგო სამი ქულა, გაათანაბრა გეიმი (40:40) და მერე ანგარიშიც — 5:5.

პასარელს კიდევ ორჯერ ჰქონდა მატჩბოლი, ერთხელ 6:5-ზე, მეორედ — 8:7-ზე, მაგრამ პანჩომ ორივეჯერ შემოაბრუნა ანგარიში, ახალგაზრდა ჩოგბურთელს ნერვიულობა დაეტყო აშკარად — მის წინ მიუვალ კედლად იყო აღმართული უკვე ასაკში შესული, დაღლილი, მაგრამ უტეხი მებრძოლი. და, აი, ამ კრიტიკულ მომენტში იგი ჯერ თავის მოწოდებაზე უშვებს ორმაგ შეცდომას, მერე კი ბურთს გზავნის აუტში. 10:9 — ახლა უკვე გონსალესი დაწინაურდა. ასეთ უპირატესობას გამოცდილი მებრძოლი, ცხადია არ გაუშვებდა ხელიდან. პანჩო გარდაიქმნა, თითქოს სუნთქვა გაეხსნაო, ახალი ენერგიით დაიწყო თამაში და ზედიზედ ოთხი ქულა აიღო, რაც საბოლოო გამარჯვების ტოლფასი იყო.

ასე შევიდა ჩოგბურთის ისტორიაში ეს სარეკორდო მატჩი, რომელშიც გამარჯვებულის გამოვლენას დასჭირდა 112 გეიმი, 5 საათი და 20 წუთი.

გასახდელისკენ მიმავალ ვეტერანს 18 ათასმა მაყურებელმა მქუხარე ოვაცია მოუწყო. ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა პანჩოს, თავს როგორ გრძნობო. გონსალესი არასდროს იყო სიტყვაწყლიანი ჟურნალისტებთან, ამიტომაც მოკლედ მიუგო:

— ცოტათი დავიღალე!

გაერთიანებისაკენ მიმავალი გზები

ორპოლუსიანი მდგომარეობა, რომელიც კარგა ხანია საჭადრაკო სამყაროშია, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს — ასე ფიქრობენ ახლა ფიდეს მესვეურები და მასთან დაპირისპირებული ორგანიზაციის — პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის (პჩა) ხელმძღვანელი გარი კასპაროვი. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ორ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელსაც დაპირისპირებული ორგანიზაციების მესვეურები აწერენ ხელს.

FIDE
GENS UNA SUMUS

დეკლარაცია

ფიდესა და პჩა-ს თანამშრომლობის შესახებ

ერთიანობის სულისკვეთებით და მომავალი გაერთიანების მიზნით ჩვენ, ვაცხადებთ:

როგორც ფიდე, ისე პჩა აღიარებს, რომ გათიშვა, რომელიც 1993 წლის მარტ-აპრილში მოხდა, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, მაგრამ ორივე მხარემ კონფრონტაციის გზა აირჩია. ამავე დროს, ორივე ორგანიზაცია აღიარებს, რომ გათიშვას დადებითი მხარეებიც ჰქონდა: პირველ რიგში ეს გამოიხატა ფულადი სახსრების მოზიდვის აქტივიზაციაში, რამაც ხელი შეუწყო ჭადრაკის ფინანსური მხარდაჭერის ახალი წყაროების გამოვლინებას.

ამ წყაროების ათვისებისათვის, კომერციული და საერთაშორისო სპონსორობის მოზიდვის ტენდენციის განმტკიცებისათვის, რაც განამტკიცებს საჭადრაკო სამყაროს სტაბილურ განვითარებას, აუცილებელია ძალისხმევა ცალკეული ჯგუფების უპასუხისმგებლო მოქმედების აღკვეთის მიზნით.

ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს გათიშვის ყველა ნეგატიური მხარის დაძლევას, რომელიც ზიანს აყენებს არა მარტო მოთამაშეებს, არამედ ეროვნულ ფედერაციებსაც. ჩვენ ვთვლით, რომ დეკლარაცია ფიდესა და პჩა-ს შეთანხმებამდე მიგვიყვანს, რაც ახალი ერის დასაწყისი იქნება, სადაც ორივე ორგანიზაცია ერთმანეთთან ყოველმხრივ და აქტიურად ითანამშრომლებს.

ჩვენ ვთვლით, რომ დადგა დრო, რათა ხელიდან არ გავუშვათ ისტორიული მომენტი, რომელიც ჭადრაკის სამყაროში შეიქმნა. დარწმუნებული ვართ, რომ ძალების გაერთიანებითა და პოლიტიკის კოორდინაციით შევძლებთ ჭადრაკის გადაქცევას სპორტის პროფესიულ, თვითდაფინანსებად სახეობად, რომელსაც სხვადასხვა „წყალქვეშა“ მიმართულებები ზიანს ვერ მიაყენებენ. ჭადრაკი ღირსეულად იქნება საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში.

რა უნდა გაკეთდეს გაერთიანებისათვის

იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც დეკლარაციაშია გამოხატული, ჩვენ შემდეგ წინადადებებს გთავაზობთ:

1. უნდა მოხდეს ორი ციკლის გაერთიანება, რათა ბოლო მოეღოს მუდმივ გაუგებრობებს მოჭადრაკეებს, გულშემატკივრებს, სპონსორებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის. ამ მიზნით, მას შემდეგ, რაც დამთავრდება ორივე ციკლი, 1996 წელს უნდა მოეწყოს გამაერთიანებელი მატჩი. ეს იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის ციკლის სრული დაგვირგვინება. ორივე მხარე აღიარებს, რომ თუ მატჩში მონაწილეებს ავადმყოფობამ არ შეუშალა ხელი, ესაა უმაღლესი წოდების მოპოვების ერთადერთი პატიოსანი გზა. ამრიგად, 1996 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მოგვცემს მსოფლიო ჩემპიონატების 110-წლიანი ისტორიის უწყვეტობის გარანტიას.

2. ამ მატჩების წესებისა და ყოველგვარი დეტალების დასადგენად უნდა შეიქმნას სათანადო კომისია.

3. რათა კვლავ გაერთიანდეს მსოფლიო ჩემპიონატის ციკლი, საჭიროა მისი ჩატარება ფიდესა და პჩა-ს საერთო დევიზით. ამიტომ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს არსებითი რეფორმების გეგმა.

4. ახალი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ხარჯების შემცირებას, გაამარტივებს შეჯიბრებების ორგანიზაციას, გააადვილებს ურთიერთობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, განსაკუთრებით კი ტელევიზიასთან.

5. უნდა ჩამოყალიბდეს კომისია, რომელიც უზრუნველყოფს სარეიტინგო სისტემების გაერთიანებას. მსოფლიოს 500 წამყვანი მოჭადრაკის რეიტინგი ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოქვეყნდება.

6. პჩა, როგორც თვალსაჩინო კომერციული სუბიექტი, ჩაატარებს ლონისძიებებს და გარანტიას იძლევა, რომ ფიდეს ყოველწლიურად გადაუხდის თანხებს.

7. ფიდე იწყებს გარდაქმნებს, რათა კომერციული თვალსაზრისით უფრო ეფექტური გახდეს. პირველი ნაბიჯი იქნება არჩევითი ოფიციალური პირებისათვის ხელფასის გაუქმება.

8. ჩვენი ერთობლივი მუშაობის მიზანია ჭადრაკის ჩართვა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

რედაქციისაგან

ფიდესა და პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის საერთო დეკლარაცია, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, მაგრამ ზოგი რამ მაინც ბუნდოვანი რჩება. გარი კასპაროვი აშკარად არ აპირებს ფიდეს ახალ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშს, იგი ელის „გამაერთიანებელ მატჩს“, მაგრამ საკითხავია, მოინდომებს კი მასთან შეხვედრას ის დიდოსტატი, რომელიც თავს გამოიჩენს უახლოეს ორთაბრძოლებში.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატის დებულებას ქალთა შორის, აქ, თითქოს, ჯერჯერობით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. როგორც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე თვლის, იგი გაეცნო „ილიუმჟინოვის რეფორმებს“, სადაც ბევრი რამ საინტერესოა და საჭადრაკო მოძრაობის გამოცოცხლება უნდა გამოიწვიოს. ახლა ერთი რამაა საინტერესო, რას შესთავაზებს ახალი პრეზიდენტი ქალებს: უახლოეს წლებში უცვლელად დასტოვებს ძველ აპრობირებულ სისტემას (ზონალური, საზონათშორისო ტურნირება, პრეტენდენტთა ორსაფეხურიანი ასპარეზობა) თუ აქაც ახლებურად იწარმოებს ბრძოლა.

ველოსპორტის ამბები

- ● პროფესიონალები იწყებენ
- ● „მაპეი-ჯიბი“ მსოფლიო თასისა და „ტურ დე ფრანსის“ მოგებას გეგმავს. ● რომინგერიც „ტურ დე ფრანსს“ უმიზნებს. ● ინდურაინმა გამოაქვეყნა იმ სპორტული ასპარეზობების სია, სადაც წლეულს გამოვა.
- ● „ნოველა“ „რაბობანკი“ გახდა
- ● კლასიკური ველორბოლა — დანიელთა კლასიკური გამარჯვებით.

საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის ეგიდით, წლეულს, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს პროფესიონალთა ექვსი ჯგუფი, რომლებიც, ძირითადად, ფრანგი სპორტსმენებით იქნება დაკომპლექტებული. უცხოელები გამოდიან, უმთავრესად, „მიუტიუელში“ და „კაზინოში“. პირველის ღირსებას დაიცავს ესტონელი აური აუსი, მეორის — ლიტველები არტურას კასპუტისი და იან კირსიპუ.

დიდი გეგმებით იწყებს სეზონს იტალია-ბელგიის გაერთიანებული გუნდი „მაპეი-ჯი.ბი“. მას გადაწყვეტილი აქვს მოიგოს მსოფლიოს თასი და „ტურ დე ფრანსი“. სხვათა შორის, ეს გაერთიანება, რომელიც 81 პროფესიონალს ითვლის, საერთაშორისო ფედერაციის მიერ პირველ ნომრად არის კლასიფიცირებული. „მაპეის“ შემადგენლობაში გამოდის: 14 იტალიელი, 8 ესპანელი (მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონი ჯგუფურ რბოლაში აბრაჰამ ოლანო), 7 ბელგიელი (მათ შორის, მსოფლიო თასის მფლობელი იოჰან მიუზეუვი) და ერთი შვეიცარიელი (მსოფლიო კლასიფიკაციით პირველი ნომერი პროფესიონალი ტონი რომინგერი).

ერთსაათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდსმენი შვეიცარიელი ტონი რომინგერი, ახალ სეზონში მთავარ ამოცანად „ტურ დე ფრანსის“ მოგებას მიიჩნევს.

„ესპანელი მიგელ ინდურაინის, ფრანგი როლან ჟალაბერის, რუსი ევგენი ბერზინისა და ჩემი თანამემამულის ალექს ცულეს მძაფრი მეტოქეობის მიუხედავად, უსათუოდ უნდა მოვიგო სეზონის მთავარი სტარტი და კიდევ შევეცადო ჩემივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას“ — განაცხადა რომინგერმა ჟურნალისტებთან საუბარში. ამ მიზნით იგი წლეულს გამოტოვებს მნიშვნელობით მეორე მრავალდღიან რბოლას — „ჯირო დ'იტალიას“.

„ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის ჩემპიონმა ესპანელმა მიგელ ინდურაინმა გამოაცხადა იმ შეჯიბრებათა სია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 1996 წლის მანძილზე. მისი პირველი სტარტი შედგება 11 თებერვალს „ტროფეო მალიორკაში“. თებერვალში კიდევ ორ შეჯიბრებაში იასპარეზებს. სამი რბოლა აქვს დაგეგმილი მარტისთვის, აპრილში — ოთხი, ამდენივე — მაისში. ივნისში კი მხოლოდ ორი. მერე უკვე „ტურ დე ფრანსი“ და ოლიმპიადა იქნება.

ჰააგაში შედგა პროფესიონალ ველოსიპედისტთა გუნდის — „რაბობანკის“ პრეზენტაცია (ადრე იგი „ნოველად“ იწოდებოდა). გუნდის სპორტულმა დირექტორმა იან რაასმა განაცხადა, რომ კოლექტივი დატოვა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა, სამაგიეროდ „ონსედან“ გადმოვიდა ბელგიელი იოჰან ბრიუნელი.

პროფესიონალთა კლასიკური ველორბოლა „შტუტგარტის ექვსი დღე“ მოიგეს გამოცდილმა დანიელებმა იენს ვეგერბიუმ და ჯიმი მადსენმა. მათ უკან ჩამოიტოვეს შვეიცარიელთა და ავსტრალიელთა არანაკლებად გამოცდილი დუეტები.

გერდ მიულერის საიდუმლოება

გახსოვთ ალბათ, ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი გერდ მიულერი? 1972 [illegible] გფრ-ის ნაკრების შემადგენლობ[illegible] პის ჩემპიონი გახდა, ორი წლის შემდეგ კი დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებაში. იგი ტანდაბალი იყო, მაგრამ მოედანზე სასწაულებს ახდენდა: 62-ჯერ დაიცვა ეროვნული ნაკრების ღირსება და 68 გოლი გაიტანა. მის ანგარიშზეა, ასევე, ეროვნულ ჩემპიონატებში გატანილი 365 გოლი.

იმ პერიოდში დადიოდა ხმები, რომ მიუნხენის „ბაიერნისა“ და გფრ-ის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი მაგარ სასმელებს ეძალებოდა. მერე, როცა თავი დაანება სპორტს, ეს ვერსია მთლიანად დადასტურდა. მიულერმა ყოველკვირეულ „სპორტ-ბილდის“ კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში თავის ცოდვას ასეთი ახსნა მოუძებნა: მას თურმე პანიკური შიში ჰქონდა თვითმფრინავით მგზავრობისა და ეს შიში რომ როგორმე დაეძლია, თანაგუნდელებისა და ექიმის რჩევით ალკოჰოლს მიმართავდა, რომელიც ფრენის დროს მას გარკვეულ სიმხნევეს შემატებდა, მერე კი აძინებდა კიდეც. მაგრამ, ვინაიდან მიულერი გამუდმებით ჰაერში იყო, სპირტიანი სასმელების სმას, უნდოდა ეს თუ არა, მიეჩვია.

ეს ჩვევა კიდევ უფრო გაუმძაფრდა ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ვინაიდან კვირაში რამდენჯერმე უწევდა ფრენა აშშ-ში. საქმე ის გახლავთ, რომ მიულერმა თავისი დანაზოგი ფულით, ფლორიდის შტატის ქალაქ ლაუდერდეილში იყიდა რესტორანი და ახლა უკვე ბიზნესი აიძულებდა უფრო ხშირად ემოგზაურა აშშ-სა და გერმანიას შორის.

ერთხელ, ევროპაში ყოფნის დროს შეხვდა თავის ძველ მეგობარსა და თანაგუნდელს ფრანც ბეკენბაუერს. „კაიზერმა“ (ბეკენბაუერს მთელს მსოფლიოში კაიზერ ფრანცს ეძახდნენ) მიულერს მორალური მხარდაჭერა და მატერიალური დახმარება აღუთქვა, ვინაიდან მისი რესტორნის ნორმალურ ფუნქციონირებას გარკვეული კაპიტალი სჭირდებოდა. ბეკენბაუერმა თავისი ხელგაშლილობა ასე დაასაბუთა: “რა ვიქნებოდით ჩვენ უმიულეროდ? დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გერმანიის ნაკრები რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ეს, პირველ რიგში, მიულერის დამსახურებაა და მერე ყველა ჩვენგანის. ამიტომაც ჩვენ, მისი ყოფილი კოლეგები მზად ვართ ჩავატაროთ სამაშველო ოპერაცია სახელოვანი მიულერის გადასარჩენად“ (გადარჩენა გულისხმობდა ეკონომიურ დახმარებასაც და კლინიკურ მკურნალობასაც ალკოჰოლიზმისაგან).

P.S. როგორც ამბობენ, თანაგუნდელებმა პირობა შეასრულეს. გერდ მიულერმა ფინანსიური დახმარებაც მიიღო და მკურნალობის სრული კურსიც გაიარა.

გერდ მიულერი

ყველაზე მომხიბლავი სპორტსმენი გერმანიაში

შესაძლებელია ეს რეფერენდუმი სპეციალურად მოაწყვეს კლინსმანისათვის და ამით ერთხელ კიდევ გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება თანამედროვეობის ამ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისადმი. ასეა თუ ისე, გერმანიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი იურგენ კლინსმანი ყველაზე მომხიბლავ სპორტსმენადაა გამოცხადებული გერმანიაში. გამოკითხულთა 49,8 პროცენტის აზრით, 31 წლის ფეხბურთელი ძალზე სიმპათიური პიროვნებაა, 43,6 პროცენტის აზრით კი უბრალოდ, სიმპათიური.

კლინსმანის პიროვნული თვისებების ჩამოთვლას რომ არ შევუდგეთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მის მომხიბლაობას ზურგს უმაგრებს კეთილშობილება, და უაღრესი წესიერება. იგი შიდსის მსხვერპლთა დახმარების მიზნით გამართული ყველა მრგვალი მაგიდის აქტიური წევრია. დაინტერესებულია ძნელად აღსაზრდელი და ბატიმარი ბავშვების ბედით, გრინპესის ეკოლოგიური ორგანიზაციის წევრია, აქტიურად თანამშრომლობს გახმაურებულ ორგანიზაციაში „სპორტსმენები მშვიდობისათვის“, 1994 წლიდან მხარს უჭერს გერმანიის სპორტულ ახალგაზრდობის ორგანიზაციის ინიციატივას „ვუშველოთ ქუჩის ბავშვებს“.

გამონაკლისი, ნამდვილად შარია!

თუ პრეცედენტი შეიქმნა, ძნელია მერე ფაქტის უარყოფა ან სხვა გადაწყვეტილების მიღება. ევროპის ჩემპიონატს 2000 წელს ერთნაირი უფლებებით უმასპინძლებს ორი მეზობელი ქვეყანა — ბელგია და ჰოლანდია. უეფა-მ, როგორც ხედავთ, პრეცედენტი შექმნა.

ახლა ანალოგიური სურვილი გაუჩნდათ ჩრდილოეთის ქვეყნებსაც. ჰელსინკში შეიკრიბნენ ფინეთის, შვეციის, ნორვეგიისა და დანიის ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლები. განიხილეს ერთი საკითხი: რამდენად არის შესაძლებელი ამ ქვეყნების კანდიდატურების წამოყენება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად? ჯერ არაფერი გადაწყვეტილა კონკრეტულად, მაგრამ თუ განაცხადი გაკეთდა, ფიფა-ს მოუწევს თავის წესდებაში ცვლილების შეტანა. საქმე ის გახლავთ, რომ ამჟამად მოქმედი კანონის თანახმად, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება შეუძლია მხოლოდ ერთ ქვეყანას.

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

იოზეფ მასოპუსტი

ჩეხურ ფეხბურთს არაერთი გამოჩენილი ოსტატი ჰყავდა. როცა ომამდელ მოთამაშეებზეა ლაპარაკი, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, ფრანტიშეკ პლანიჩკასა და იოზეფ ბიკანს ასახელებენ, ომის შემდგომ ფეხბურთელთაგან ყველაზე წინ აყენებენ ბრწყინვალე ნახევარმცველ იოზეფ მასოპუსტს, ერთადერთ ჩეხს, რომელიც „ოქროს ბურთის“ ლაურეატი გახდა.

მასოპუსტი დაიბადა 1931 წლის 9 თებერვალს ქ. მოსტში. 14 წლიდან 19 წლამდე თამაშობდა „სკ მოსტში“, 1950-52 წლებში ტეპლიცეს „ვოდოტეხნაში“. ამას მოჰყვა პრაღის „დუკლაში“ გატარებული 19 (!) სეზონი და 700-ზე მეტი მატჩი, რომელმაც მასოპუსტს მსოფლიო რანგის ნახევარმცველის სახელი მოუტანა. ვინ მოთვლის, რამდენ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა იგი, რამდენ საიუბილეო მატჩში მონაწილეობდა.

ყველაზე კარგად საკუთარ თავზე თვით მასოპუსტი მოგვითხრობს მეტად საინტერესო წიგნში „დესეტ ზლატიხ მიჩი“ (ჩეხურ ენაზე, ჟურნალისტს ურბანთან ერთად), რომელიც 1967 წელს პრაღაში გამოვიდა.

მთელი 12 წლის განმავლობაში თამაშობდა მასოპუსტი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში. (63 მატჩი, 11 გოლი), სადაც წაგებით დაიწყო (1954 წლის 24 ოქტომბერს ბუდაპეშტში 1-4 უნგრელებთან) და წაგებით დაასრულა (1966 წლის 18 მაისს პრაღაში საბჭოთა ნაკრებთან 1-2), მაგრამ, სამაგიეროდ, რამდენი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა.

იგი იყო ევროპის თასის 1960 წლის გათამაშების მესამე პრიზიორი, 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი და ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ამავე წელს „ფრანს ფუტბოლმა“ ცნო ევროპის №1 ფეხბურთელად და გადასცა „ოქროს ბურთი“. 1963 წელს მონაწილეობდა ისტორიულ მატჩში ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე, რომელშიც ფიფას ნაკრები შეხვდა ინგლისის ნაკრებს (1-2). ერთი წლის შემდეგ მასოპუსტმა ითამაშა უკვე უეფას ნაკრებში ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე იუგოსლაველების წინააღმდეგ (7-2). 1966 წელს აღიარეს ჩეხოსლოვაკიის №1 ფეხბურთელად. დიახ, რამდენიმე წლის მანძილზე მასოპუსტს, როგორც ნახევარმცველს, მსოფლიოში ბადალი არა ჰყავდა. იგი იყო გუნდის ნამდვილი ლიდერი, დიდი დიაპაზონის ფეხბურთელი, რომელიც, ფაქტობრივად, კარიდან კარამდე თამაშობდა და თანაც როგორი ეფექტით! მასოპუსტის ტექნიკა ხომ პირდაპირ სანიმუშო იყო.

სულ მასოპუსტმა ჩეხოსლოვაკიის ლიგაში 386 მატჩი ჩაატარა და 79 გოლი გაიტანა. 37 წლისა იგი ბელგიაში გაემგზავრა და იქ ორი სეზონის მანძილზე მოლენბეკის „კროსინგში“ თამაშობდა.

შემდეგ მასოპუსტი მწვრთნელი გახდა, სათავეში ედგა ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა საკლუბო გუნდსა და ეროვნულ ნაკრებს.

გივი თორელი

ასე გაურბოდა მცველებს მასოპუსტი

FAMILY
ENCLOSURE
QUESTION

ფეხბურთის 100 ათასმა გერმანელმა გულშემატკივარმა, სატელევიზიო გამოკითხვით, ბუნდესლიგაში 1995 წელს გატანილი გოლებიდან საუკეთესოდ მიიჩნია ფრანგი ჟან-პიერ პაპენის მიერ „იურდინგენის“ კარში მაკრატელათი გატანილი გოლი. ეს შეხვედრა პაპენის „ბავარიამ“ მოიგო ანგარიშით 2-0.

მუქარამ არ დააშინა

ევროგაერთიანების სოციალური პრობლემების კომისიის ულტიმატუმის მიუხედავად, უეფა ცდილობს წინაღუდგეს გადაწყვეტილებას ტრანსფერების სისტემაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ვინაიდან იგი უსამართლოდ და ფეხბურთისათვის მიუღებლად მიაჩნია. ევროპის ფეხბურთის თავკაცები ვერ დააშინა ვერც სასამართლოს გადაწყვეტილებამ და ვერც დიდი ფულადი ჯარიმის მუქარამ.

უეფას გენერალური მდივნის გერჰარდ აიგნერის განცხადებით შემუშავებულია ზუსტი მოხსენება, რომელიც ამტკიცებს თუ რატომ უნდა იქნას შენარჩუნებული ლეგიონერთა აღრიცხვის დღევანდელი სისტემა 3+2, რაც სამ „წმინდა“ და ორ „ასიმილირებულ“ უცხოელს ნიშნავს: უეფა თხოვს ევროგაერთიანების კომისიას სპეციალურ შეხვედრას პოზიციების შესათანხმებლად. აიგნერის აზრით, სპორტს, კერძოდ კი ფეხბურთს, არ შეიძლება მიუდგე ეკონომიკური დარგების საზომით.

ასეა თუ ისე, უეფას აღმასკომის მომავალ სხდომამდე (ლონდონი, 19 თებერვალი) არაფერი შეიცვლება. ასეთია გენერალური მდივნის პოზიცია.

● **ინგლისის ნაკრების** მთავარი მწვრთნელის პოსტზე, სრულიად მოულოდნელად, პრეტენზია განაცხადა „იპსვიჩის“ გულშემატკივარმა, 41 წლის ქალბატონმა პამელა შარპმა (როგორც ცნობილია, გუნდის ახლანდელი მწვრთნელი ტერი ვენეიბლსი ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადადგომას აპირებს). მართალია, ამ კანდიდატურას სერიოზულად არავინ აღიქვამს, მაგრამ ბუკმეკერთა ბირჟა მაინც გამოეხმაურა მას: ქალბატონ პამელა შარპის შანსები შეფასდა როგორც მილიონი — ერთთან.

● **აშშ-ის პროფესიული** ლიგის ფინალი გაიმართება ბოსტონში, „ფოქსბოროს“ სტადიონზე, რომელიც 54 ათას მაყურებელს იტევს. მატჩი გადაიცემა მთელს აშშ-ში აბც-ს ტელეკომპანიის არხებით. ჩემპიონატის ფორმულა კი ასეთია: 10 გუნდიდან „პლეი-ოფის“ სერიაში გავა 8 კლუბი. მეოთხედფინალსა და ნახევარფინალებში გაიმართება სამ-სამი შეხვედრა, ფინალს კი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონფერენციებში გამარჯვებულნი ერთ მატჩში გაითამაშებენ.

● **40 წელია,** რაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას ერთმანეთისაგან ჰყოფს – ცივი ომი. მაგრამ ამ ბოლო დროს, როგორც ჩანს, ყინული გალღვა. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტურმა (ჩრდილოეთ) კორეამ გამოთქვა სურვილი უმასპინძლოს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს სამხრეთ კორეასთან ერთად. ამ სენსაციურ სურვილს ფიფა-ს გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი ასე გამოეხმაურა: „ფიფა ამ პროცედურაში არ ჩაერევა. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა თვითონ უნდა მოელაპარაკოს სეულს. ჩვენ არაფერი გვექნება საწინააღმდეგო თუ კომპრომისი მოიძებნება და ორივე კორეა ერთიან განაცხადს წარმოადგენს.“

● **ზაგრების სასტუმრო** „შერატონში“ შეიკრიბნენ მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის შესარჩევი ტურნირის პირველი ჯგუფის წარმომადგენლები — ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელები და ნაკრები გუნდების მწვრთნელები, რათა დაემტკიცებინათ კალენდარული მატჩების გრაფიკი. როგორც გადაწყდა, ტურნირი დაიწყება 1996 წლის 24 აპრილს და დამთავრდება 1997 წლის 11 ოქტომბერს. შეგახსენებთ, რომ პირველ შესარჩევ ჯგუფში გამოვლენ: დანიის, საბერძნეთის, ხორვატიის, სლოვენიისა და ბოსნია-ჰერცოგოვინას გუნდები. იმ შემთხვევაში თუ ბოსნია-ჰერცოგოვინას ფეხბურთელებს არ ექნებათ მატჩების შინ ჩატარების საშუალება, იტალიის ბოლონიაში მიიღებენ მეტოქეებს.

● **მადრიდის „რეალში“** ხორხე ვალდანოს ნაცვლად მწვრთნელად დაინიშნა არსენიო იგლესიასი. კონტრაქტი ახალ მწვრთნელთან გაფორმდა მხოლოდ 30 ივნისამდე. 65 წლის იგლესიასის ყველაზე დიდი წარმატება იყო „დეპორტივოს“ გადაყვანა პირველ დივიზიონში, სადაც ეს გუნდი ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

● **ევროპის ჩემპიონატის** შესარჩევ ტურნირში ირლანდიის გუნდის სუსტი გამოსვლის გამო, ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა ჯეკ ჩარლტონმა. მის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატს ასახელებენ. მათგან ყველაზე რეალურია კენი დალგლიში, რომელიც ადრე „ლივერპულის“ და „ბლეკბერნის“ მწვრთნელად მუშაობდა, ახლა კი უკანასკნელის დირექტორი გახლავთ.

● **როგორც ცნობილია,** ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ტერი ვენეიბლსი ევროპის ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დატოვებს თავის პოსტს. ნაკრების მწვრთნელობაზე კატეგორიული უარი თქვეს ახალგაზრდა სპეციალისტებმა — კევინ კიგანმა და ბრაიან რობსონმა. თვითონ ვენეიბლსს მიაჩნია, რომ გუნდის ხელმძღვანელი უნდა გახდეს უფრო გამოცდილი, ცხოვრებით დაბრძენებული კაცი. მან წამოაყენა სამი კანდიდატის გვარი: ბობი რობსონი (ერთხელ უკვე იყო ამ პოსტზე), ჰოუარდ უილკინსი („ლიდსი“) ან ჰოუარდ კენდოლი („შეფილდ იუნაიტედი“).

● **74 წლისა გარდაიცვალა** ბელგიის ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ჯეფ მერმანსი. ომისშემდგომ წლებში მან შეუწყო ხელი ბრიუსელის „ანდერლეხტის“ ყველა წარმატებას. მერმანსი იყო ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი და სამგზის საუკეთესო ბომბარდირი, ნაკრებში მან 56 მატჩი ჩაატარა და 28-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

● **დიეგო მარადონა** სპეციალურად არის მიწვეული რიო-დე-ჟანეიროს კარნავალზე, რომელიც მოეწყობა 19 თებერვალს. არგენტინელი სტუმარი იქნება „დეიბა ფლორის“ ჯგუფში სხვა ბრაზილიელ ფეხბურთელებთან ერთად. როგორც პრესა იუწყება, კარნავალში მონაწილეობას მიიღებენ: ზიკო, რენატო, ბრანკო, კლაუდიო, მწვრთნელები — ჟოელ სანტანა, სებასტიანო ლაზარონი, ვანდერლეი ლუქსემბურგო და სხვ.

● **აზიის თასის** გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს გუნდების სარეკორდო რაოდენობა — 37. შეჯიბრების ფინალური ნაწილი გაიმართება 3-20 დეკემბერს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. ამ დღეებში ჰონკონგში მოეწყო კენჭისყრა, რომელმაც გუნდები გაანაწილა 9 შესარჩევ ჯგუფში. კენჭისყრისაგან თავისუფალი იყვნენ მასპინძლები და იაპონიის ნაკრები, რომელმაც ოთხი წლის წინ მოიპოვა საპატიო ჯილდო ხიროსიმაში.

● **ბოლო 15 წლის** განმავლობაში იტალიის ჩემპიონატის მატჩებში შედეგიანობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს „ფიორენტინას“ არგენტინელ ფორვარდს გაბრიელ ბატისტუტას, რომელიც ამ ქვეყანაში 1992 წლიდან თამაშობს. 109 მატჩში მან 68 გოლი გაიტანა, რაც საშუალოდ 0,62 პროცენტს შეადგენს. მანამდე საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენს — 147 მატჩი, 90 გოლი, 0,61 პროცენტი. საინტერესოა, რომ ბატისტუტამ უკან ჩამოიტოვა თანამემამულე დიეგო მარადონა, ფრანგი მიშელ პლატინი და ბრაზილიელი კარეკა.

● **ჩეხიის ფეხბურთში** მძვინვარებს ფინანსიური კრიზისი, რომელმაც შეიძლება სერიოზულად შეუშალოს ხელი ეროვნული ნაკრების სამზადისს ევროპის ჩემპიონატისათვის. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ნაკრების საბაზო გუნდი, პრაღის „სპარტა“, რომლის ვალმა 20 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

● **თავის 15-წლიან** კარიერაში პირველი სერიოზული ტრავმა მიიღო ესპანეთის ნაკრების მეკარემ ანდონი სუბისარეტამ. ვეტერანმა, რომელმაც „ატლეტიკის“, „ბარსელონასა“ და „ვალენსიის“ შემადგენლობაში 534 მატჩი ჩაატარა, დაიზიანა აქილევსის მყესი. ექიმების განცხადებით, ორი კვირის მანძილზე იგი ვერ გამოვა სათამაშოდ. სუბისარეტა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 100-ზე მეტჯერ იცავდა ესპანეთის კარს.

პროფესიულ რინგზე

ვამგა სიჯიუტისათვის დაისაჯა, ბოტა — დოპინგის მიღებისათვის

● **მსოფლიოს ჩემპიონსვბს**-ს ვერსიით 86,2 კგ-ში, ფრანგ ანაკლეტ ვამბას ოფიციალურად ჩამოართვეს ტიტული და ოქროს ქამარი იმის გამო, რომ უარი თქვა თავის მთავარ მეტოქესთან, არგენტინელ მარსელო დომინგესთან შეხვედრაზე. ეს გადაწყვეტილება მიიღო ვბს-ს დირექტორთა საბჭომ. იმავე საბჭომ ახალ ჩემპიონად დომინგესი გამოაცხადა.

● **ვბო**-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის, ამერიკელი რიდიკ ბოუსა და მსოფლიოს ექსჩემპიონის, ინგლისელი ლენოქს ლუისის 20 აპრილს დანიშნული მატჩი, როგორც ჩანს, მაინც არ ჩატარდება. მიზეზი გახლავთ ფინანსური დაბრკოლება, რომელიც ვერაფრით ვერ გადალახეს ბოუს მენეჯერმა და ამერიკის საკაბელო ტელევიზიამ. ამ დღეებში ლუისის მენეჯერი პანოს ელიადესი გაემგზავრა ნიუ-იორკს სათადარიგო კანდიდატების შესარჩევად. ასახელებენ სამ გვარს — მაიკლ მურერს, აქსელ შულცსა და ევანდერ ჰოლიფილდს. მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მურერი და შულცი ვერავითარ მეტოქეობას ვერ გაუწევენ ლუისს, ჰოლიფილდი კი ჯერჯერობით არ არის მზად ასეთი მაღალი რანგის ბრძოლისათვის. ასეა თუ ისე, ელიადესი ლუისის გამოსვლების გრაფიკს არ ცვლის: ერთი ბრძოლა მოეწყობა აპრილში, ერთი ივლისში, მერე კი განახლდება მოლაპარაკება მაიკ ტაისონთან.

● **როგორც ვიუწყებოდით**, სამხრეთამერიკელ მძიმეწონოსანს ფრენს ბოტას გერმანელ აქსელ შულცთან გამარჯვების შემდეგ კიოლნის ლაბორატორიამ სისხლში დოპინგის კვალი აღმოუჩინა. ბოტას პრომოუტერმა ლაბორატორიის თანამშრომლებს არაობიექტურობა, თანამემამულისადმი მიდგომა დასწამა და მოითხოვა განმეორებითი ანალიზის ჩატარება აშშ-ში. ამ დღეებში მოვიდა ცნობა, რომ განმეორებითმა ანალიზმა დაადასტურა ადრინდელი შედეგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოტას ჩამოართმევენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს და ოქროს ქამარს.

კვიმატი ობიექტივი

ხუთი რგოლის გარშემო

● **გამოცხადდა** კომისიის შემადგენლობა, რომელიც შეამოწმებს 2004 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი ქალაქების შესაძლებლობებს (როგორც ცნობილია, ოფიციალურად რეგისტრირებულია 11 ასეთი ქალაქი). კომისიაში შევიდნენ: თომას ბახი (გერმანია), ჩიხარუ იგაია (იაპონია), ჰენრი ადეფოლე (ნიგერია), ფერნანდო ფერეირა (პორტუგალია) და კიდევ სპორტის სახეობების ათი წარმომადგენელი.

როგორც სოკის აღმასკომის წარმომადგენელმა განმარტა, ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატმა ქალაქმა დეტალური პასუხი უნდა გასცეს 19 სხვადასხვა თემის 558 კითხვას.

● **ატლანტის** ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრესსამსახურის ცნობით, 10 თებერვალს დილის 9 საათზე ადგილობრივი დროით დაიწყებენ ბილეთების გაყიდვას ტელეფონით (მხოლოდ ამერიკელი მოქალაქეებისათვის). ამ აქციის ხელმძღვანელის სკოტ ანდერსონის განცხადებით, გაიყიდება სპორტის 13 სახეობაზე დასასწრები 4 მილიონი ბილეთი (საშუალო ღირებულება ერთი ბილეთისა 25 დოლარია).

● **XXVI ოლიმპიადის** აფროსანთა ტურნირი გაიმართება სავანაში. ლოკალური პრესცენტრის განცხადებით, ბილეთები აქ მხოლოდ ფოსტით გაიყიდება. ლაპარაკია იმ 13 ათას ბილეთზე, რომელთა პატრონები დააკომპლექტებენ 8 გემს, და შემდეგ შეჯიბრების ტრასებზე იმოძრავებენ. ამ ბილეთების ფასი 98-154 დოლარის ფარგლებში მერყეობს (აქ შედის კვების და გამაგრილებელი წყლების ღირებულება).

● **თამაშების** საორგანიზაციო კომიტეტი შეარჩევს 45 ათას მოხალისეს, რომლებიც მოემსახურებიან ატლანტაში ჩასულ სპორტსმენებს, სტუმრებს, ტურისტებს. ამათგან 40 ათას მოხალისესთან აპრილშივე დაიდება კონტრაქტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყოველი მოხალისის ვალდებულება. ამის შემდეგ მოხდება მათი სპეციალური მომზადება.

● **2004 წლის** ზაფხულის ოლიმპიადის კანდიდატთა შერჩევა 1997 წლის 5 სექტემბრის კენჭისყრისთვის რეგიონალური პრინციპით მოხდება. ამ მხრივ ყველაზე კარგ მდგომარეობაშია აფრიკა, ვინაიდან მას ერთადერთი კანდიდატი ჰყავს — კეიპტაუნი. ლათინური ამერიკა წარმოდგენილია 3 ქალაქით — სან-ხოსე, ბუენოს-აირესი და რიო-დე-ჟანეირო. ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია ევროპა — 7 კანდიდატი. ამიტომაც ეს რეგიონი დაიყო გეოგრაფიული პრინციპით: ჩრდილოეთად (სანქტ-პეტერბურგი, სტოკჰოლმი, ლილი) და სამხრეთად (რომი, სტამბული, ათენი და სევილია).

კრიმინალური ქრონიკა

„მილანის“ 19 წლის გულშემატკივარს სიმონე ბარბალიას იტალიის სასამართლომ 11 წლითა და 4 თვით პატიმრობა მიუსაჯა „ჯენოას“ მომხრე ერთ-ერთი მაყურებლის მკვლელობის გამო. მკვლელობა მოხდა შარშან ამ ორი გუნდის შეხვედრის წინ. სასამართლომ ასეთი მკაცრი განაჩენი გამოუტანა მკვლელს სხვა პოტენციური დამნაშავეების გაფრთხილების მიზნით.



იუმორი

მელბურნი კანდიდატია...

მელბურნიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ამ ქალაქმა მოიპოვა ერების თანამეგობრობის თამაშების მასპინძლის კანდიდატის უფლება. ასპარეზობა გაიმართება 2006 წელს და წინასწარი გაანგარიშებით მისი ჩატარება 72 მილიონი ავსტრალიური დოლარი ანუ 54 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება. საგულისხმოა, რომ ამ თანხის მესამედი მოხმარდება მხოლოდ ველოდრომს.

ინფორმაცია

გაისად ფრენბურთელ ქალთა გრან-პრის ტურნირებში საასპარეზოდ დაშვებული არიან: ბრაზილიის, ჩინეთის, კორეის, კუბის, რუსეთის, აშშ-ს და იაპონიის წარმომადგენლები. დარჩენილ ერთ ადგილს დაიკავებს ევროპის რომელიმე გუნდი, რომლის ვინაობა მოგვიანებით გამოქვეყნდება.

შესაძლოა, ბი-ბი-სიმ ამიერიდან ველარ გადმოსცეს „ფორმულა-1-ის პირდაპირი რეპორტაჟები. საქმე ის გახლავთ, რომ ამ პოპულარული ტელეკომპანიის კონკურენტმა ითვ-მ (ინდეპენდეტ ტელევიზიონი) „ფორმულა-1-ის“ კონსტრუქტორთა ასოციაციასთან გააფორმა 5-წლიანი კონტრაქტი, რომელშიც გადაიხადა 80 მილიონი გირვანქა სტერლინგი (100 მილიონ დოლარზე მეტი), როგორც ამბობენ, კონტრაქტი ძალაში შევა 1997 წლიდან.

საჭადრაკო ამოცანა

რ. მარცვალაშვილის
(სოფ. ჩარგალი)



შამათი 2 სვლაში

კროსვორდი



თარაზულად: 5. მითიური მეომარი ქალი, ცხენოსანი... 6. აშშ-ს პროფესიონალი მოკრივე, 8. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი, 11. ამერიკელი ჩოგბურთელი, 14. გამოჩენილი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალი, 15. მოგზაური... 16. საბჭოთა კალათბურთელი ოლიმპიური (1972) ჩემპიონი, 17. კალათბურთელი — ევროპის პირველი საბჭოთა ჩემპიონი (1947), 21. პერსპექტიული ქუთაისელი ფეხბურთელი, რომელსაც უცხოეთში იწვევენ, 22. ასპარეზობის დროის ნახევარი, 23. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, 26. მსოფლიოს ექსჩემპიონი კრივში პროფესიონალებში (აშშ, მძიმე წონა), 27. ტანმოვარჯიშე, ცირკის მსახიობი, 28. სახელგანთქმული ფრანგი პროფესიონალი ველოსიპედისტი.

შვეულად: 1. ცხენშებმული კარეტა, 2. მინერალი პუდრის სახით, რომელსაც იყენებენ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში... 3. სარტყმელი, რომელსაც იყენებენ სიგნალის მისაცემად, 4. მსოფლიო რეკორდსმენი ვაჟი სამხტომში, 7. ჩეხეთის საფეხბურთო გუნდი, 9. სარბიელი ძაღლების შესაჯიბრებლად, 10. საჭადრაკო ტერმინი, 12. „უნგრეთის დიდი გუნდის“ ლიდერი ფეხბურთელი, 13. ხანგრძლივი უმოქმედობით ორგანიზმის უნარის დაჩლუნგება, 18. პოპულარული საფეხბურთო გუნდი რუსეთში, 19. „ფორმულა-1“-ის სარბოლი მანქანა, 20. ინგლისის პოპულარული საფეხბურთო კლუბი, 24. რაგბიში შეტევის ვარიანტი, 25. ცნობილი იაპონელი ოსტატი ძიუდოსა და კინგ-ბოქსინგში.

„ლელოს ნინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ფოთი, 4. „ალგა“, 8. მარშრუტი, 9. ტრავერსი, 10. ედერი, 11. „ბაია“, 14. აფრა, 15. „სამტრედია“, 18. ინსაიდი, 19. ჰიმალაი, 20 შახლინი, 22. აბზინდა, 26. პლაჟბურთი, 27. ციგა, 29. როგე, 30. გოლფი, 32. გრენობლი, 33. ესტაფეტა, 34. იჰფი, 35. ობრი.

შვეულად: 1. ფარვა, 2. ილიე, 3. პერეირა, 5. აკვრა, 6. ყაზბეგი, 7. ასმაევი, 12. მარდი, 13. ფიცი, 16. ბარკლი, 17. სანაია, 20. შტუცერი, 21. ნილი, 23. ბათი, 24. ალბერტი, 25. უბილავა, 28. „აზოტი“, 29. რეალი, 30. გირი, 31. იერო.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილეს მარინა თარხნიშვილს დეიდის

თამარ მირზოევას

გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“, ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე

გიორგი (გოგი) ახალკაციშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მკოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ირინე სიდამონიძე, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია